პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-2 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

წითელი არმიის ხუთი წლის თავი: საუბარი ამხ. ტროცკისთან, საუბარი ამხ. კამენევთან, პროფინტერნის მოწოდება. საიუბილეო გამოფენა მოსკოვში.

რურის ოკუპაცია: რკინის გზების [illegible] ახალი სამხედრო ძალები, დატუსაღება ვისბადენში, ნაპაჟოების გერმანელ მოსამსახურეთა მოხსნა, გელზენკირხენის [illegible], მუშების გამარჯვება გელზენკირხენში

ინგლისში მესოპოტამიის საკითხი პარლამენტში, მუშათა მოთხოვნილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 42 პარასკევი, 23 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 42

დღეს საბჭოთა დიდი ფედერაციის მშრომელი მასები ზეიმობენ გმირული წითელი არმიის არსებობისა და ბრძოლის ხუთი წლის თავს.

მან მოიგერია აუარებელი ურდოები საერთაშორისო იმპერიალიზმის და გასრისა შინაური კონტრ-რევოლიუცია

ის დღესაც უძლეველი სდგ'ს როგორც დიდი არმია, რევოლიუციის იმედი მსოფლიო პროლეტარიატისა და დაჩაგრული ხალხების

გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს მის ბელადს, ამხ. ტროცკის!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

უძლეველი კლასის უძლეველი დარაჯი

დღეს შესრულდა ხუთი წელიწადი წითელი ჯარის დაბადების, მისი განუწყვეტელი ბრძოლის და მუშაობის. საბჭოთა საშოდან გამოსული, ის გახდა ღირსეული დამცველი თავის მომავლინებელი რეჟიმის. ის იყო და არის შეუდარებელი გუშაგი მუშურ-გლეხური დიქტატურის, მშრომელთა რესპუბლიკების საზღვრების. მისმა მადლიანმა ხიშტმა მიფანტ-მოფანტა შინაური კონტრ-რევოლიუცია, შორს უკუაგდო ყოველი მხრიდან მოწოლილი გარეშე მტერი. მის შეტევას ვერ უძლებდენ კარგად ჩაცმული, მაძღარი, სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი იარაღებით აღჭურვილი ინგლისელი, ამერიკელი თუ ფრანგი ჯარისკაცი: ბრძოლაში ჩაბმას გაურბოდენ და უმალვე იხევდენ უკან როგორც არხანგელსკის, ისე ადესის და ურალის რაიონებში.

სად არის სათავე წითელი ჯარის ასეთი ჭეშმარიტად მძლეთა მძლეობის?

განა იმ გარემოებაში, რომ მისი შემადგენლობა მუშურ-გლეხურია? მარა ყოველი თანამედროვე სახელმწიფოს ჯარი ხომ მუშებისა და გლეხებისაგან არის შემდგარი. თვითმპყრობელობის ჯარიც ხომ სავსებით მშრომელთა შვილებით იყო სავსე.

წითელ ჯარის უძლეველობის საიდუმლოება არის უკვე გაცხადებული საიდუმლოება მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის.

დამშეულ, ჩამოღლეტილ, საკმაო ტყვია-წამალს მოკლებულ წითელი ჯარის მოახლოვებას ვერ უძლებდენ და ტყვია გაუსროლელად უკან იხევდენ ბუმბერაზ ევროპიული ჯარების ნაწილები: ეს იყო დახევა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის მოციქულთა წინაშე. ის რაც შეგნებულია და შეცნობილი კომინტერნის ჯარის მიერ, ჯერ კიდევ შეგნებული და შეცნობილი არ არის იმპერიალიზმის ჯარისკაცების მიერ; მათში, როგორც მშრომელთა ოჯახის შვილებში, მხოლოდ ღვივის ინსტინქტი მშრომელთა სოლიდარობისა, მათში ძირმომაგრებულია ალღო ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობა-ერთობისა, საერთო განთავისუფლების ჟამის მოახლოვებისა.

და ეს გაურკვეველი გრძნობა, უკეთ წინათგრძნობა, ეს კეთილშობილი, ნამდვილათ მუშური ალღო აშეშებს იმპერიალიზმის ჯარისკაცის ხელს და ის თოფის ჩახმახს ვერ აკარებს თითს, როცა ხედავს მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ ამდგარ წითელ ჯარისკაცს, უჭმელობით დასუსტებულს, უტანსაცმლობით გაფითრებულს, მაგრამ მაინც მოუსვენარს თავის გამარჯვებულ კლასის მონაპოვართა დაცვის საქმეში.

გაპიროვნებული მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის აჩრდილი, (ვით მანდილოსანი ორ მებრძოლ მთიელთა შუა), დგებოდა ხოლმე იმპერიალიზმის და საბჭოთა ჯარებ შუა და უმეტეს შემთხვევაში დავა უსისხლოთ წყდებოდა მშრომელთა დიქტატურის დამცველთა სასარგებლოთ.

აი წყარო წითელი ჯარის ძლიერების, მისი უძლეველობის. ეს არის ძალა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისა, რომლის ალი ავარდა პირველათ რუსეთში და რომლის ნაპერწკლები სულ ხშირათ და ხშირათ სცვივა ბურჟუაზიული ქვეყნების ასაფეთქებლათ მზათ ნიადაგზე.

და განა ადვილი წარმოსადგენი არ არის, რომ ერთი გერმანული წითელი დივიზია არა თუ შეუძლებლათ გახდიდა საფრანგეთის იმპერიალიზმის ჯარების გადასვლას რურის ოლქში, შეიძლება თვით საფრანგეთშიაც სულ სხვა ხასიათის ღელვას გამოიწვევდა.

ასეთია თვისება მუშურ-გლეხური წითელი ჯარის. ეს თვისება სწორი ანარეკლია საბჭოთა ხელისუფლების ბუნების. განუყრელია ეს ხელისუფლება მის დამცველ წითელ ჯარისაგან. ხუთი წლის განმავლობაში ეს ორი ახალი, ისტორიაში უნახავი ძალა მუშაობენ მშრომელთა მიზნის განხორციელებისათვის, პროლეტარული მცნების დედამიწის კიდით-კიდემდე გასატანათ, მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

მთელი ჩვენი თანაგრძნობა მათ, ბურჟუაზიის გოლიათის დამმარცხებელთ!

მთელი ჩვენი სიყვარული მშრომელთა საქმისათვის მებრძოლ წითელ ჯარს, უძლეველი კლასის უძლეველ დარაჯს!

მ. ორახელაშვილი.

მოგონებანი საქართველოს წითელ არმიის პირველი ნაწილების შედგენის შესახებ

საქართველოს წითელი არმია იშვა ყოფილ მენშევიკურ რეგულიარული ჯარის ნანგრევებზე (სახალხო გვარდია სრულიად არ გამოგვიყენებია წითელი ნაწილების ორგანიზაციის დროს, საბჭოთა მთავრობის დეკრეტის და სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის ბრძანების თანახმად თავის დროზე მოხდა მისი სრული დემობილიზაცია).

ეს არ ყოფილა უბრალო რეორგანიზაცია ან კიდევ გარეგნული გარდაქმნა მენშევიკური არმიისა წითელ პოლკებათ. დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარს, რომელმაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეებში გადაიტანა თავის თავზე მთელი რიგი მძიმე გაჭირვებათა, გამოსცადა მოტყუილება და ღალატი ოდესღაც მის მიერ გაღმერთებულ მთავრობისაგან ბ-ნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ამ ჯარს მწარე გამოცდილებამ თვალი აუხილა და მან და ბოლოს დაათვალა მის ირგვლივ მომხდარ დიადი ამბების ნამდვილი აზრი. ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს მრავალი მაგალითი მენშევიკური ჯარიდან ნაწილობრივ და მასსიურ გადასვლისა წითლების ბანაკში, აჯანყებულ მუშების და გლეხების ბანაკში. იყო შემთხვევები, როდესაც მთელი პოლკები თავისი ოფიცრობით გადადიოდა საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის მხარეზე.

ყველამ კარგად იცის, რომ თავისი უსინდისო და მოღალატური ეპოპეის დასაგვირგვინებლად ჟორდანიას მთავრობამ მოახდინა ყოვლად საზიზღარი აქტი—ეს მისი სამარცხვინო გაქცევა მუშების და გლეხების გასამართლებისაგან ხალხის ნაძარცვი სიმდიდრით ხელში. მთავრობამ დააგდო თავისი არმია. როგორც გამოუსადეგარი საგანი როგორც კი მოასწრო ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო გემების მფარველობის ქვეშ გადასვლა. თავის თავად ცხადია ამის შემდეგ მენშევიკებს ჯარი აღარ სჭიროდათ, მას მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ მოელოდათ შურისძიება მათ მიერ მოტყუებულ და გაცარცულ ხალხისაგან.

ეს კიდევ ცოტაა. ჟორდანიას მთავრობამ ჩირქი მოსცხო თავის „დემოკრატიულ სინიდისს“ კიდევ ერთი არა ნაკლებ უსინიდისო აქტით.

დაინახა რა თავისი აუცილებელი დაღუპვა და საქართველოზე მენშევიკური ბატონობის საბოლოოდ დამსხვრევა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ თავისი ნებით და სურვილით შემოუშვა ბათომში ოსმალეთის ჯარები. უძლურებით გაბოროტებულმა მენშევიკებმა გადასწყვიტეს ჩამოეშორებიათ ბათომი საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

აი სწორედ უსინდისო და საზიზღარი ღალატის ამ ფაქტებმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ჯარზე. ის საბოლოოდ გამოფხიზლდა მენშევიკების მიერ შთანერგულ ნაციონალიზმისა და მუშებისა და გლეხებისადმი მტრულად განწყობილებისაგან.

ჯარი სწორედ რომ ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა; მთავრობის მიერ მიტოვებული—ქალაქში, რომელიც უკვე ნაწილობრივ დაკავებული იყო ოსმალების მიერ, წითელ ჯარებს კი ჯერ კიდევ ვერ მიესწრო დასახმარებლად. ამ არეულდარევაში, საერთო დაბნევაში და სრულ ქაოსში მენშევიკური ტყვეობისაგან განთავისუფლებული—კომუნარები ხელში იღებენ ძალაუფლებას და აცნობებენ მთელს ქვეყანას ამის შესახებ.

ყოფილი მენშევიკური მთავრობის ჯარი დაუყოვნებლივ გადადის რევოლიუციონური კომიტეტის მხარეზე და ფიცს სდებს **დაიცვას მისი ინტერესები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე**.

სულით დაცემული, მოქანცული და გაბრაზებული ის ერთბაშათ ალაფრთოვანა საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმემ.

ამ სტრიქონების დამწერი უშუალო მოწამე იყო იმ ფაქტის, როდესაც რევოლიუციონური მთავრობის მხარეზე გადმოსულმა მენშევიკების ყოფილმა ჯარმა დაამტკიცა **საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულობა.** გააფთრებულ სისხლის მღვრელ ბრძოლების შედეგად მან განდევნა ბათომის ფორტებიდან და სიმაგრეებიდან ოსმალეთის ჩეტნიკები. თუმცა მენშევიკების გამცემლობა გამოსწორებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ, მაგრამ ეს დაუჯდა მას ათეულ ახალგაზრდა სიცოცხლეთ.



ამხ. ლ. ტროცკი

ეს პირველი საომარი მონათვლა სრული გარანტია იყო იმის, რომ ყოფილი მენშევიკური არმიის კადრები გამოდგებოდა მასალათ წითელი მუშურ-გლეხური პოლკების შესადგენად. სწორედ აქედან იწყება საქართველოს წითელი არმიის ორგანიზაცია.

1921 წლის მარტში ქ. ბათომში გამოიცა სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის სათანადო ბრძანება პირველი წითელი ნაწილების შექმნის შესახებ.—განზრახული იყო შექმნა ერთი მსროლელი ბრიგადის სამი პოლკის შემადგენლობით, ერთი მოსაზღვრე ბრიგადის, ორი ცხენოსანი პოლკის ცხენოსანი ბრიგადის სახით და 2 საარტილერიო დივიზიონის.

ობიექტიური პირობები ნაწილების შექმნისათვის სრულიად შეუფარდებელი იყო. ბათომი მისი ოლქით მოწყვეტილი იყო მთელი ქვეყნისაგან. რკინის გზის ხაზი, რომელიც ბათომს აკავშირებს ტფილისთან და დანარჩენ საქართველოსთან გაფუჭებული იყო მენშევიკური დემოკრატების მიერ საჯევახოს ხიდის აფეთქების გამო, რომლის აღდგენას მნიშვნელოვანი დრო მოუნდა. ყოფილი მენშევიკური არმიის ცალკე ნაწილები დაბანაკებული იყვნენ ბათომის ფორტებზე და რკინის გზის სადგურებზე ლანჩხუთიდან დაწყებული ბათომამდე. ყველაფერი ქაოტიურ მდგომარეობაში იყო, ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა, ქონება გაბნეული იყო, მოუვლელობის და უპატრონობის გამო ფუჭდებოდა ძვირფასი სამხედრო მოწყობილობა, ზოგიერთ ბნელ ელემენტებს კი, რომელნიც მღვრიე წყალში თევზის ჭერას ნაჩვევი არიან, ეს მეტად ახარებდა.



ამხ. ს. ორჯონიკიძე

მეორეს მხრივ საჭირო იყო დათხოვნა გვარდიის დარჩენილ ნაწილების, რომელნიც წარმოადგენდენ გახრწნილ ბანდებს და მხოლოდ იმას ფიქრობდენ, რომ რაიმე მოეპარათ და გაეფუჭებიათ...

საჭირო იყო მენშევიკების მიერ 25 წლის ჰასაკის ზევით ჯარში გაწვეულთა დათხოვნა; საჭირო იყო მრავალრიცხოვანი საკომანდო შემადგენლობის და სამხედრო მოხელეების გადაგზავნა ტფილისში საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის განკარგულებაში; გვიხდებოდა უწესოდ დაფანტულ სამხედრო ქონების თავის მოყრა და გატაცებისაგან გადარჩენა. მთავარი კი ის არის, რომ ამასთანავე ერთად უნდა შეგვექმნა ახალი წითელი პოლკები. აი ასეთ საბედისწერო წუთებში იქმნებოდა **ქართული წითელი არმია.**

სწრაფად და აჩქარებით ბათომში მოეწყო 1 და 2 მსროლელი პოლკი, მე-3-ე მსროლელი პოლკი კი ეწყობოდა ლანჩხუთში. სამი ბატარეის შემადგენლობის საარტილერიო დივიზიონი და 2 ცხენოსანი პოლკი დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნა ბათომიდან ქუთაისში ქვეითად: ბათომში სრულიად არ მოიპოვებოდა ფურაჟი და ცხენების შემადგენლობის სავსებით გაწყვეტისაგან გადარჩენისათვის აუცილებელი იყო, რაც შეიძლება საჩქაროდ გამოგვეყვანა კავალერია და არტილერია დაკავებულ და გარეშე ქვეყნისაგან მოწყვეტილ ბათომიდან.

საარტილერიო ქონება, რომელიც დანიშნული იყო მეორე დივიზიონის მოსაწყობად, დატვირთულ იქნა ერთ ეშელონად საჯევახოს სადგურზე გასაგზავნად, სადაც განზრახული იყო მისი დატოვება დროებით. ჯალათ გოგუაძის ბანდის მიერ მიტოვებული და გაცარცვული ჯავშნიანი მატარებლები № № 2 და 4 მალე შეკეთებულ იქნა და მოეწყო სანდო კამანდა კომუნარებისა და რევოლიუციონურ ახალგაზრდობისაგან, რომლებმაც მოკლე ხნის განმავლობაში ჯავშნოსანი მატარებლებისაგან შექმნეს მრისხანე ძალა, საფრთხე და მუქარა საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებისათვის.

ამ საერთო მუშაობასთან ერთად სწარმოებდა პოლიტიკური მუშაობაც. საჭირო იყო წითელი არმიელებისათვის მომხდარი ამბების ნამდვილი აზრის გაშუქება, წითელი არმიის მნიშვნელობის გაცნობა და სხვ.

საჭირო იყო ნაწილებში პოლიტიკური შემადგენლობის შექმნა. ამ საქმეში არსებობდა დიდი დაბრკოლებები, რადგან ნაკლებად მოიპოვებოდა ისეთი მომზადებული კომუნისტები, რომელთაც ჰქონდათ ცოტაოდენი წარმოდგენა მაინც საერთოდ ჯარის შესახებ.



ამხ. შ. ელიავა

უფრო გამოცდილი და მომზადებული პოლიტ მუშაკის ძებნის დრო აღარ იყო და ამიტომ ხშირად სამხედრო კომისრებად ვნიშნავდით იმ პარტიულ ამხანაგებს, რომელიც ხელთ გვყავდა.

ამ მხრივ ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწიეს წითელ არმიელმა-კომუნისტებმა, მენშევიკური არმიის ყოფილმა ჯარისკაცებმა; ისინი იყვნენ საუკეთესო პოლიტ-მუშაკები, რომელთაც კარგად ესმოდათ წითელ არმიელის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებანი.

მიუხედავად პოლიტ-მუშაკების ასეთი სიმცირისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ პოლიტიკური შემადგენლობის მოწყობა ჩვენს პოლკებში.

ვაწარმოებდით რა მათი საშუალებით პოლიტიკურ მუშაობას ნაწილებში, ამასთანავე ერთად ხშირად გვიხდებოდა საუბარის გამართვა თვით კომისართა შემადგენლობასთან იმ მიზნით, რომ გაგვეშუქებია მათთვის წითელი არმიის ძირითადი იდეია, მისი რეჟიმი, პოლიტიკური მუშაობის მეთოდი და შინაარსი და სხვა და სხვა.

ამ წინასწარ მუშაობის დამთავრების შემდეგ პირველი მსროლელი ბრიგადის ნაწილები (სამი პოლკიდან) გადაყვანილ იქნა ტფილისში აპრილში. სწორედ ამ დროს თავი მოიყარა ტფილისში კავალერიის და არტილერიის ნაწილებმა. როდესაც ბათომში ეწყობოდა პირველი წითელი პოლკები, ამ დროს ტფილისში ძველი რევოლიუციონერის, რუსეთის სამოქალაქო ომის გმირის ამხ. ი. ბრეგვაძის ხელმძღვანელობით სდგებოდა პირველი საბჭოთა მუშურ-გლეხური პოლკი.

ბრეგვაძის მოხერხებული და გამოცდილი ხელმძღვანელობით პოლკმა მალე დაიმსახურა ყურადღება თავის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებით.

1921 წლის აპრილის დამლევს, ე. ი. ტფილისში ყველა სასწრაფოდ შედგენილი ნაწილების თავმოყრის მომენტიდან, თავდება საქართველოს წითელი ჯარის ორგანიზაციის პირველი პერიოდი და იწყება მტკიცე, მეთოდიური და წესიერი მუშაობა ნამდვილ რეგულიარულ **წითელი არმიის ნაწილების** შესაქმნელად.

მძიმე იყო საქართველოს წითელი არმიის ორგანიზაციის პირველი პერიოდი, მაგრამ არა ნაკლებ მძიმე, რთული და პასუხსაგები იყო შემდეგი მუშაობა.

ა. გობოხიძე.

ხუთი წლის წინად ალექსანდრეს ბაღში მენშევიკებმა ვერაგულათ დახვრიტეს საპროტესტო მიტინგზე შეკრებილი თბილისის მუშები

ალექსანდრეს ბაღში მენშევიკების მიერ მოწყობილ საფლავების ადგილას ამ ჟამათ იმყოფება ძმათა სასაფლაო წითელ გმირებისა

მათი ძვლები მშრომელთა დიქტატურისათვის ბრძოლაში უწინ დაღუპულთა ძვლებთან ერთათ საძირკვლათ დაედო საბჭოთა ციხე-სიმაგრეს

საუკუნო ხსენება დაღუპულებს! დიდება ცოცხალ მებრძოლებს და შრომის სამეფოს მშენებლებს!

„სისხლიანი შაბათი“

(1918—23 თებერვალი—1923)

ამხანაგო

მუშებო და წითელ არმიელებო!

ეს დღეს ყველას უნდა ახსოვდეს. 23 თებერვალს მენშევიკებმა და ესერებმა უიარაღო მუშების სისხლი დაღვარეს, იმ მუშების, რომელნიც შეიკრიბენ ალექსანდრეს ბაღში საპროტესტო მიტინგზე იმ სამარცხვინო კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებდენ მაშინ ქართველი მენშევიკები.

ამ დღეს იხსნებოდა სეიმი, რომელზედაც მენშევიკები აყალიბებდენ ქართველი ხალხის ჩამოშორებას რუსეთის რევოლიუციისაგან.

საქართველოს პროლეტარიატი, რომელიც ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, რომელიც რეაქციის მეტად მძიმე ხანებში არასოდეს უკან არ ჩამორჩენილა და პირიქით ხშირად წინ მიდიოდა, საქართველოს პროლეტარიატი, რომელმაც სახელოვანი ფურცლები დასტოვა ამ ბრძოლის ისტორიაში, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო, თავის წინამძღოლთა გამცემლობის წყალობით, ყველაზე უფრო გამწვავებულ რევოლიუციონურ ბრძოლის მომენტში აღმოჩნდა ჩამოშორებული ამ ბრძოლისაგან.

ქართველ მუშას არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა თავის წინამძღოლების გამცემლობისათვის და იზოლიაციით დასუსტებულს მას შეეძლო მხოლოდ, როგორც მეფის თვითმპყრობელობის დროს გამოეტანა თავისი პროტესტები ქუჩაში. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობაც კი არ ყოფილა ასე მკაცრი და ცინიკური. ბაღში შეყვანილ იქნა ჯარი, ყველა ჭიშკრები დაკეტილი იყო და უიარაღო ხალხს ძაღლებივით ხვრეტავდნენ.

ასეული მუშები დახოცეს და დასჭრეს.

ამავე დროს კი გაიხსნა სეიმი და კარლო ჩხეიძე სიტყვას ამბობდა და აღფრთოვანებული იყო თავისუფლებით და დემოკრატიზმით, რომელიც საქართველოში იყო გამეფებული. თავხედი თვალთმაქცები იგივე კარლო ჩხეიძე ცოტა ხნის წინად მათ საბჭოს სხდომაზე ამბობდა: „არასოდეს ჩვენ არ შევალთ კავშირში ბოლშევიკურ რუსეთთან, უფრო ჩქარა ჩვენ შეუკავშირდებით თვითმპყრობელობას, თუ იგი დაბრუნდებაო“. და ეს მართალიც იყო! უფრო გვიან, როდესაც გეგეჭკორი მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ ალექსეევთან ასეთი სიტყვებით მიმართავდა მას: „ჩვენ გვაქვს საერთო მიზანი—ეს მიზანია ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა“-ო და მათი ორი წლის ბატონობის მთელი პოლიტიკა ნათლად განისაზღვრა ამ ძირითად დებულებით: ბრძოლა ბოლშევიკებთან, მძაფრი სიძულვილი, დაუზოგავი ომი მათ წინააღმდეგ.

და იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი ყოველმხრივ შემორტყმული იყო მტრების მიერ, იბრძოდა ფრონტებზე, სუსტდებოდა ბრძოლაში, როდესაც რეაქციის ყველა ძალები შიგნივ და გარედან ამხედრებული იყვენ რევოლიუციის ყველა მონაპოვართა მოსასპობათ, როდესაც თავდადება და გმირობა არაჩვეულებრივ ხასიათს იღებდა, როდესაც ძველი მსოფლიოს აბობოქრებულ ზღვაზე კომუნიზმის რევოლიუციონური ნავი გაბედულად წინ მისცურავდა თავის საბოლოვო მიზნისაკენ, იგერიებდა რა ყველა იერიშებს, მენშევიკები და ესერები, ისხდნენ რა თავიანთ სოროში, ბედნიერად გრძნობდენ თავს, რომ ჭექა-ქუხილი მათ ყურამდე არ აღწევდა, თვალთმაქცურად ღაღადებდენ ბოლშევიკურ საფრთხის შესახებ. რამდენი არაკები არ შეთხზეს ამ იუდებმა!

მათი შიში ბოლშევიკების წინაშე უდრიდა მათდამი სიძულვილს. ამ ფარისეველებს ისე გაუტკბათ თავიანთ ნავში ჯდომა, რომ მხოლოდ ერთი აზრი იმაზე, რომ რევოლიუციის აზვირთებული ტალღები წალეკავდა მათ, აიძულებდა მათ ჩაბღაუჭებოდენ ყოველგვარ დახმარებას, რომელიც დაიცავდა მათ ზოოლოგიურ არსებობას. მათ იცოდენ, რომ ხსნა არსაიდან იყო, რომ ქართველი პროლეტარიატი არ აპატიებდა მათ ღალატს, გამოიჩენდა თავის ნებისყოფას, ჩამოაგდებდა თავის მხრებიდან ამ მანეკენებს და გაბედულად გაეშურებოდა თავის თანამებრძოლებისაკენ.

მათ იცოდენ ეს და ამიტომ დიდი სიმკაცრით ძირშივე ახშობდენ ყოველგვარ ცდას პროტესტისას. მუშათა სისხლით შეიღება ალექსანდრეს ბაღი. გლეხების სისხლით შეიღება ყანები და „დამამშვიდებელი“ ჯულელი როგორც მგელი დაძრწოდა პატარა ქვეყანაში და ცეცხლს უკიდებდა სახლებს და სოფლებს.

დეე სამარცხვინო დაღათ დარჩეს მენშევიკებზე მათი საზიზღარი, მკაცრი მოპყრობა მუშებისა და გლეხებისადმი. არასოდეს არ დაივიწყებენ მათ საქციელს მუშები და არ აპატიებენ ამ დახვრეტას.

საუკუნოთ დარჩება ხსოვნაში დაღუპული ამხანაგები, რომელთაც შეღებეს და გაანათლეს თავისი სისხლით ბრძოლა იმ უკეთესი და ერთადერთი მიზნისათვის, რისთვისაც ღირდა ბრძოლა და თავდადება—**კომუნიზმისათვის**.

საუკუნო წყევლა და შერცხვენა მუშათა კლასის მოღალატეებს—მენშევიკებს და ესერებს.

საუკუნო ხსენება მუშათა კლასის განთავისუფლების, დიად საქმისათვის დაღუპულ მებრძოლებს!

ძირს ყველა სოციალ-გამცემლები!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ყველა მშრომელთა გაერთიანებას!

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ პროლეტარულ მსოფლიო რევოლიუციას!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

დაღუპულთა ხსოვნას

თბილისის ცენტრში, სწორედ იმ ადგილას, სადაც მდებარეობს ყვავილებით მორთული წითელ გმირების ძმათა სასაფლაო, ყოფილ ალექსანდრეს, ეხლა კი კომუნარების ბაღში, სადაც ტკბილად განისვენებენ მოღალატე მენშევიკებისა და დასავლეთის იმპერიალისტების უღლისაგან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული წითელ-არმიელები,—აი აქ, ხუთი წლის წინედ, 1918 წ. 10—23 თებერვალს ჩადენილ იქნა გამოუსყიდველი ბოროტ-მოქმედება, დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია.

ამ დღეს აქ, ამიერ-კავკასიის გაერთიანებული კონტრ-რევოლიუციის, მენშევიკების, ს.-რევოლიუციონერების, დაშნაკების, მუსავატელების და სხვათა ჯალათური ხელით დახვრეტილ იქნა ტფილისის რევოლიუციონური პროლეტარიატის უიარაღო, მშვიდობიანი მიტინგი.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე იწყება ყველა კონტრ-რევოლიუციონურ და შავი ძალების დარაზმვა, რომელშიც მენშევიკების მეთაურობით ყვითელი სოციალისტები თამაშობდენ უპირველეს როლს.

ჩვენი მხარის დაცვა რუსეთიდან მომდინარე რევოლიუციური ტალღებიდან, ამართვა მათ შორის გაურღვეველი კედლის, აქ უშიშრად დაბუნაგება, შინ, აბობოქრებულ რევოლიუციონური მასსების ალაგმვა, ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის სადიდებლად,—შეადგენდა მათ სანუკვარ ოცნებას.

აქაურმა კაცი-ჭამია შოვინისტებმა, რომელნიც მხეცურად კბილებს ილესავდნენ ერთმანეთზე, შეკრეს ერთიანი ფრონტი რევოლიუციისა და მისი მებაირაღტრის—ბოლშევიკების წინააღმდეგ.

თავიანთი მიზნის მისაღწევად ისინი არ ჩერდებიან არაფრის წინაშე. მათ სისხლიანი გაცილება მოუწყვეს კავკასიის საზღვრების დამცველ, ბოლშევიკურად განწყობილ ჯარების ნაწილებს, რომელნიც შინ ბრუნდებოდნენ. მათ ჩასაფრებულად ესხმოდნენ, ანიარაღებდნენ, სძარცვავდნენ, ჟლეტდნენ. ყველას ახსოვს და ჟრუანტელსა ჰგვრის შამხორსა, განჯასა, ჩახმასა და სხვა ადგილებში მომხდარი საშინელებანი.

შემდეგ, რაკი აიცილეს ფრონტიდან მოხსნილ ჯარების მხრით მოსალოდნელი საფრთხე, ჩვენი კონტრ-რევოლიუციონერები გაბედულად შეუდგნენ ადგილობრივ რევოლიუციონურ მუშების და მათი ორგანიზაციების ალაგმვას.

წარმოუდგენელი სისასტიკით დევნიდნენ ბოლშევიკებს, ხულიგნურად არბევდნენ და კეტავდნენ გამოცემებს და სხ.

თბილისის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი გულგრილად ვერ შეხვდებოდა იმას, თუ „რევოლიუციონური“ ხელისუფლება როგორ ახდენდა რევოლიუციის ლიკვიდაციას, მას სურდა საჯაროდ გამოეთქვა თავისი პროტესტი თავაშვებულ რეაქციის წინააღმდეგ.

და აი ხუთი წლის წინედ, 10 თებერვალს თბილისის რევოლიუციონური პროლეტარიატი შეიკრიბა ყოფილ ალექსანდრეს ბაღში ამ პროტესტის გამოსაცხადებლად და მემამულეების, ბურჟუაზიის და გამცემელ-სოციალისტების გამოსვლების საჯაროდ სამხილებლად.

სწორედ ამ დროს ეს შავ-ყვითელი ბლოკი შეიკრიბა სასახლეში ამიერ-კავკასიის სეიმის სახით, რათა ფორმალურად დაედასტურებინა თავისი რეაქციონური საქმენი და ნაბიჯები.

მუშათა მიტინგი ცდილობდა გამოეაშკარავებინა მუშათა კლასის პოზიცია ამ რევოლიუციის დაუძინებელ მტრებისა და გამცემლების მიმართ.

მაგრამ მოხდა საშინელება. მენშევიკ-ესერ-დაშნაკ-მუსავატელების მთავრობამ ვერ აიტანა მიტინგზე თავმოყრილ, თბილისის მშრომელ მასსების რევოლიუციონური სიტყვა, და მან მიტინგი თოფებით და ტყვიისმფრქვევლებით დაცხრილა.

მიტინგის ადგილას დადგა გუბე უმანკო სისხლის, ის გაიყინა უდანაშაულო მუშების ხორცის ნაფლეთებით.

ეს იყო კონტრ-რევოლიუციის მხრით დაუნდობელი შეიარაღებული ბრძოლის დაწყება მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ეს ბრძოლა კერძოდ საქართველოში გრძელდება წლების განმავლობაში. 1921 წლამდე მენშევიკები ღვრიდნენ აჯანყებულ მუშების და გლეხის სისხლს.

ამ განმავლობაში საქართველოს მშრომელი მასსა განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა მათთან.

ბოლოს მან, აურაცხელი მსხვერპლის გაღებით და წითელი არმიის დახმარებით, შური იძია ამ ვაებატონებზე და დაამსხვრია მათ მიერ დადებული ბორკილები.

დღეს ჩვენი მუშათა კლასი იგონებს რევოლიუციისათვის დაღუპულ, ალექსანდრეს ბაღში დახვრეტილ მებრძოლებს, იგონებს იმ მუშებს, რომელთაც თავიანთი სისხლით გააპოხიერეს და მოამზადეს ნიადაგი მისი გამარჯვებისათვის; იმ მუშებს, რომელთა შვილები საძირკვლად დაედვნენ პროლეტარიატის დიქტატურის ციხე-სიმაგრეს. დღეს ჩვენ მუხლს ვიდრეკთ ამ თავდადებული რევოლიუციონერების წინაშე და ვამბობთ, რომ მედგრად განვაგრძობთ იმ წმინდა საქმის სამსახურს, რომლისათვის ისინი დაიღუპნენ. დღეს ჩვენ ვაცხადებთ, რომ საბოლოოდ აღვკვეთავთ მენშევიკების ჯალათობას, რომლის მსხვერპლნი ისინი გახდნენ.

წითელი არმიის 5 წლის თავზე

საუბარი ამხ. ტროცკისთან

მოსკოვი, 22 თებერვ. წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესახებ ამხ. ტროცკი თავის წერილში ამბობს „არმიაში უშუალოდ იმყოფება მოქალაქეების მინიმალური რიცხვი იმიტომ, რომ უფრო მეტი სისრულით იყოს შეთვისებული სამხედრო აღზრდა.

არა არმია უნდა ემსახურებოდეს შრომის თვალსაზრისით მცხოვრებლებს, არამედ თვით მცხოვრებლები ყოველმხრივ უნდა ემსახურებოდენ არმიას. ეს ხელსაყრელია პირველ ყოვლისა მცხოვრებლებისათვის, ვინაიდან, თუ ჩვენ იძულებული ვართ მოვაცდინოთ სამუშაოსაგან ნახევარ მილიონზე მეტი მუშები და გლეხები, საჭიროა, რომ ისინი რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში გახდენ უმწიკვლო მეომრები.

ჩვენ გადაჭრით დავადექით მილიციონურ სისტემაზე გადასვლის გზას. ამ ცდის შემდეგი განვითარების გზით რამოდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება არმიის მთელი სტრუქტურის გარდაქმნა. სამილიციო დივიზიები მოითხოვენ შეფებისაგან არა მეგობრულ მზრუნველობას დრო გამოშვებით, არამედ ყოველდღიურ მონაწილეობას სამხედრო ნაწილების აღზრდაში. ეს შლის ისეთი სახელმწიფო და სამხედრო დემოკრატიზმის, ჭეშმარიტ მუშურ-გლეხურ დემოკრატიზმის პერსპექტივებს, რომელზედაც კაპიტალის დემოკრატიული ლაქიები ოცნებასაც ვერ გაბედავენ. ქვეყნის თავდაცვის უნარი იჭედება ამ ჟამად სახელმწიფო მრეწველობაში. ლითონის თვითეული ფუთი ჰმატებს ძალას წითელ არმიას. მომავალი ომი, რომელიც არ შეიძლება ჩვენ თავზე არ მოგვახვიონ, დასვამს დღის წესრიგში დიდ ამოცანებს. თუ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მაშინ ჩვენთვის ომი იქნება რევოლიუციის გაგრძელება—მხოლოდ იმ საყოველთაო შეიარაღებით, ისეთი ორგანიზაციით და ტეხნიკით, როგორიც რევოლიუციებს ჯერ არ ახსოვს“.

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი. 22 თებერვალი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ წითელი არმიის ხუთი წლის იუბილეისათვის გამოუშვა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია: „დედა მიწის მეექვსედ ნაწილს წითელი არმიის სიფხიზლისა და გმირობის შემწეობით შეუძლია აწარმოოს მშვიდობიანი საქმიანობა. დედა მიწის დანარჩენი ხუთი ნაწილი იმყოფება კაპიტალის რკინის სალტებში. მდგომარეობა ევროპაში იხლართება, იმპერიალისტურ მადას მიჰყავს ბურჟუაზია ახალ სამხედრო ავანტიურებისაკენ, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს გრანდიოზულ კლასობრივ კონფლიქტებთან და სოციალურ რევოლიუციასთან. სოციალურ რევოლიუციის დროს ევროპაში იქნება რუსეთის წითელი არმიის დაკავშირების დღეთ სხვა ქვეყნების წითელ არმიებთან. ყველა ქვეყნების მრავალ მილიონიან მუშების სახელით, პროფინტერნი გამოთქვამს რწმენას, რომ წითელ არმიელები და კომანდირები ყველა, როგორც ერთი კაცი აღსდგებიან, როდესაც ამას მოითხოვს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესები“.

წითელი არმიის საიუბილეო გამოფენა

მოსკოვი. 22 თებ. 20 თებერვალს, საღამოს ზეიმით გაიხსნა წითელი არმიის და ფლოტის საიუბილეო გამოფენა, სადაც წარდგენილია ექსპონატები ყველა სამხედრო მართველობების და დაწესებულებების. ზოგიერთები ამ ექსპონატებში წარმოადგენენ განსაკუთრებულ ინტერესს. მთელი ოთახი დათმობილი აქვს ტროცკის მატარებელს და მის მუშაობას ბრძოლის და შრომის ფრონტებზე. დიდი რუკა ამტკიცებს მატარებლის მარშრუტს პეტროგრადიდან ადესამდე და კრასნოდარამდე, პინსკიდან სარაპულამდე. მატარებლის მიერ შესრულებულია 39 ოპერატიული რეისი 70,000 ვერსის მანძილზე.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲑᲐᲚᲨᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲬᲔᲡ-ᲠᲘᲒᲘ

დღესასწაული იწყება 23 თებერვალს და თავდება 25-ს ერთებს რა ორივე წლის თავს.

პირველი დღე,

(23 თებერვალი—პარასკევი)

დღის—4 საათზე ალექსანდრეს სახელობის ბაღში შესდგება მიტინგი და სამოქალაქო პანაშვიდი 1918 წ. 10 | 23 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში დახვრეტილთათვის.

საღამოთი—მოხდება წერა კითხვის უცოდინარობის სკოლებში კურს დამთავრებულთა გამოშვება. გამოშვებაზე ესწრებიან მიმაგრებულ წარმოებათა მუშების წარმომადგენლები.

მეორე დღე,

(24 თებერვალი—შაბათი)

დაახლოების დღე და წითელ კავალერთა საპატივცემლო ზეიმი.

დღით: ყაზარმებში მიტინგები. მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწყობილ იქნება მუშათა და წითელ არმიელთა საერთო სუფრა როგორც ყაზარმებში, ისე დაწესებულებებშიაც.

საღამოთი: ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან, კავშირების გამგეობის წევრებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად. სხდომა იმართება დღესასწაულის გამო და საპატივცემოთ „წითელი დროშის“ ორდენის კავალერების, რომელნიც საჩუქრებს ღებულობენ. სამხედრო ნაწილების და წარმოებათა კლუბებში იმართება რევოლიუციონურ-სამხედრო მოგონებათა საღამოები და კონცერტები მუშათა და წითელ არმიელთა წრეების ძალებით.

მესამე დღე.

(25 თებერვალი—კვირა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლისათვის.

თავის მოყრა ხდება წარმოებებში და დაწესებულებებში და დილის 9 საათისათვის ყველა უნდა მივიდეს იმ ადგილზე, სადაც იკრიბება რაიონი.

1-ლი რაიონი. თავის მოყრა „ნაძალადევის“ მოედანზე.

მარშრუტი: ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, კირკის ქუჩა, ვერის აღმართი, ოლღას ქუჩა და რუსთაველის პროსპექტი.

მე 2-რე რაიონი. თავის მოყრა ჩერქეზოვის მოედანზე.

მარშრუტი: ჩერქეზოვის ქუჩა, ნეკრასოვის ქუჩა, ვორონცოვის ხიდი, მადათოვის, ბარიატინსკის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი.

მე-3-მე რაიონი: თავის მოყრა კახეთის მოედანზე.

მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციშვილის დაღმართი, მუხრანის ქუჩა, პუშკინის ქუჩა, თავისუფლების მოედანი, სასახლის და რუსთაველის პროსპექტი.

მე-4-ე რაიონი: თავის მოყრა ს. კ. პ. ც. კ. შენობასთან, რაიონები უნდა მივიდენ რუსთველის პროსპექტზე დილის 10 საათისათვის.

მუშათა ორგანიზაციების გამწკრივების წესი.

1-ლი რაიონი მარცხენა ფრთით სასტუმრო „ორიანტ“-თან.

მე-2, 3 და 4 რაიონები რიგზე მარცხნიდან მარჯვნივ ვერის დაღმართამდე.

დილის 11 საათზე ექვს ადგილას მოხდება ფიცის მიღება. ფიცის შემდეგ—აღლუმი.

აღლუმზე მისასალმებელ სიტყვებით გამოვლენ ამხ. ამხ. ცხაკაია, მიასნიკოვი, ორახელაშვილი, ეგოროვი, ვრაჩევი და კახიანი.

დილით: აღლუმი და სამხედრო ნაწილების მიერ ფიცის მიღება მუშათა ორგანიზაციებსა და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად. აღლუმი გაიმართება რუსთავლის პროსპექტზე, ფიცის მიღება მოხდება ერევნის მოედანზე.

თეატრებში და ცირკებში საბავშვო სპექტაკლები.

ქალაქის აღმასკომი წლის თავის აღსანიშნავად დაარსებს ღამის გასათევ სახლს უბინაო მუშებისათვის.

გასართობები:

24 თებერვალს. საღამოს: სახელმწიფო ოპერაში—საბჭოს სხდომის შემდეგ ოპერა „ფრა-დიავოლო“. რუსთაველის თეატრში—დრამა „გეგეჭკორი“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლში—დრამა „მეფის დალაქი“. ბიოგრაფები: მინიონი, კინო-პალასი, არფასტო, აპოლლო, კინო—„ზვეზდა“, კინო—„ზერკალნი“. დასაწყისი 6 საათზე.

25 თებერვალს. დილის 12 საათზე: სახელმწიფო ოპერაში საბავშვო სახლებისათვის საბავშვო წარმოდგენა „წითელი ქუდი“ და „შვიდი თხა“.

საღამოს 8 საათზე: სახელმწიფო ოპერაში—„კარმენი“. რუსთაველის თეატრში—დრამა „ცხვრის წყარო“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლში—დრამა „მსხვერპლი“—ქართ. ენაზე. ბიოგრაფები: მინიონი, კინო პალასი, არფასტო, აპოლლო, კინო „ზვეზდა“ კინო „ზერკალნი“, „სოლეილ“, დასაწყისი 6 საათ!

წითელი არმიის ხუთი წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების 2 წლის თავის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

ᲠᲣᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ

რკინის გზების მილიტარიზაცია

ბერლინი. 22 თებერ. რურის ოლქში ამ კვირაში მოელიან ახალ სანქციებს რკინის გზების საქმეში. განზრახული აქვთ რკინის გზების შემდეგი მილიტარიზაცია. ბოხუმის სადგურის დაგვარად, ფიქრობენ დორტმუნდის სადგურის დაკავებას.

ფულებს არ ზოგავენ

ბერლინი. 22 თებერვ. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 100 მილიონი ფრანკის დამატებითი კრედიტი რურის ოლქის ოკუპაციისათვის.

გელზენკირხნერის ევაკუაცია

ბერლინი. 22 თებერვ. 21 თებერვალს გელზენკირხენი დასცალეს საფრანგეთის ჯარებმა ასი მილ. მარკა ჯარიმის ნაცვლად ფრანგებმა წაიყვანეს ჩამორთმეული ცხენები და გაიტანეს საბარგო ავტომობილები.

ახალი დამხმარე ძალები

ბერლინი. 22 თებერვ. „პტი ჟურნალი“-ს კორესპოდენტი დიუსელდორფიდან იტყობინებ:, რომ განზრახულია ახალი სამხედრო ნაწილების გაგზავნა რურის ოლქში.

ინგლისის ზონის რკინის გზა.

მოსკოვი. 21 თებ. კოლნში გრძელდება მოლაპარაკება ფრანგებისთვის ინგლისის ზონაში მდებარე რკინის გზის ხაზის შესახებ. ინგლისის ჯარები სტოვებენ რკინის გზის შტოს რევენზუა-მერკენს.

მოკავშირეთა სამხედრო ძალები.

მოსკოვი. 22 თებ. რურის ოლქში მოვიდა მოკავშირეთა მნიშვნელოვანი ახალი სამხედრო ძალები. დორტმუნდში შევიდა ქვეითი ჯარების ხუთი პოლკი.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 22 თებ. ფრანგებმა დააპატიმრეს ვისბადენში 9 კაცი გაფიცულ რკინის გზელებისთვის ჯამაგირის დარიგებისთვის.

მიმოსვლის აკრძალვა,

პარიზი. 22 თებერვ. რეინლადის უმაღლესმა მოკავშირეთა კომისიამ მაინცში 21 და 6 საათის შუა ყოველგვარი მიმოსვლა აკრძალა. საბაჟოების სამმართველომ ზოგიერთი ქუჩები გამოჰყო და ლეგალურათ დასტოვა რეინლანდისა და ოკუპაციის გარეშე დარჩენილ გერმანიას შორის კავშირისათვის. ყოველგვარი მოძრაობა სხვა გზებზე, გარდა აღნიშნულებისა, კონტრაბანდათ ჩაითვლება, რურში ფრანგებშა ასეთივე ზომები მიიღეს.

ბელგიის ზონა გაფართოვებულია.

პარიზი. 22 თებერვ. ბელგიის საოკუპაციო ზონა გაფართოვებულია ჩრდილოეთისაკენ—დორსტენამდე.

რკინის გზის სადგურის დაკავება.

ლონდონი. 22. თებ. დიუსელდორფიდან იუწყებიან, რომ რურის ოლქში საფრანგეთიდან 800 ახალი რკინის გზელი ჩამოვიდა. ბოხუმიდან მოსულ ცნობებით ფრანგებმა იქ რკინის გზის სადგური დაიკავეს და ახლო მომავალშიაც განზრახული აქვთ დაიკავონ ესსენის სადგურიც.

შიში ანტანტის ერთიანობისათვის.

ბერლინი. 21 თებერვალი. თემთა პალატაში, ლოიდ-ჯორჯის სიტყვის საპასუხოთ, ბონარ-ლოუმ განაცხადა: „მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა რურის მიმართ არ შეიძლება მოწონებულ იქნას, ანტანტას მაინც მხარი უნდა დაეჭიროს და ამიტომ ინგლისის ჯარის ნაწილები რაც შეიძლება მეტს ხანს უნდა დარჩეს რეინლანდში. რურის საკითხში ერთა ლიგის შერევას საფრანგეთი და აგრეთვე, უთუოთ, იტალია და ბელგიაც მტრულ მოქმედებათ ჩასთვლის, რაიც თვით ლიგის დაშლას გამოიწვევს“.

პუანკარეს თათბირი ფენისთან.

პარიზი. 22 თებერვალი. პუანკარეს ფენისსთან საუბრის დროს განხილული იყო საკითხი რურში ტრანსპორტის და ადგილობრივი სისტემის შესახებ და აგრეთვე ახალი ზომები, რომელთა გამოყენება საჭირო იქნება საფრანგეთის და ბელგიის მიერ ყველა პუნქტებში სრული შეთანხმების გზით.

საფრანგეთის პრესა ბონარ ლოუს სიტყვების შესახებ.

პარიზი. 22 თებ. უკეთებს რა კომენტარიებს თემთა პალატის მიერ ლიბერალების წინადადების უარყოფას, „პტი პარიზიენ“-ი აღნიშნავს: „ბონარ ლოუმ დაიმსახურა მადლობა იმ შუამავლობის უარყოფისათვის, რაც თანამედროვე პირობებში იქნებოდა საფრანგეთისათვის სამარცხვინო და მიუღებელი, მიუხედავად მისი პატივისცემისა დიდი ამერიკის რესპუბლიკის და ერთა ლიგის მიმართ“. ბონარ ლოუს სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო მეგობრული ტონით, შეასუსტებს მწუხარებას, რომელიც თავს დაატყდა საფრანგეთს რურის საკითხში მისი წინადადების მიუღებლობით, რაც გახდა საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობების გათიშვის მიზეზი.

შელზენკირხენის გაფიცვა.

მოსკოვი. 22 თებ. ჰელზენკირხენის მუშათა საყოველთაო გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. დაცვის პროლეტარული ორგანიზაცია კარგათ მიმდინარეობს და სოციალ-დემოკრატების დახმარებასაც იწვევს.

რურის გერმანულ საბაჟოებში.

მოსკოვი. 22 თებ. საფრანგეთის ხელისუფლება რურის გერმანულ საბაჟოების მთელს პერსონალს სამსახურიდან ითხოვს და მათ მაგიერ მოკავშირეთაშორისო პერსონალს აყენებს.

ᲠᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

საფრანგეთის სამთომადნო მუშების მოწოდება

მოსკოვი. 22 თებერვალი. „როტე-ფანე“-მ გამოაქვეყნა საფრანგეთის სამთამადნო მუშების მოწოდება გერმანელ მემაღაროეთა მიმართ, რომელშიდაც ნათქვამია: რომ საერთაშორისო სოლიდარული გამოსვლის საათი დადგა.

საფრანგეთის გაფიცულ სამთომადნო მუშები, მოუწოდებენ გერმანიის სამთომადნო მუშებს საერთო მოქმედებისაკენ.

ოკუპანტების გეგმები.

პარიზი. 22 თებერვალი. პარიზში ფენისის, პუანკარეს, საფრანგეთის ზოგიერთ მინისტრებისა და მარშალ ფოშის მონაწილეობით შესდგა თათბირი რურის ოკუპაციის საკითხების შესახებ. თათბირზე მიღწეულ იყო შეთანხმება ყველა საკითხებში და დადგენილი იყო გაწესდეს რურის ოლქში რეინის მარცხენა ნაპირის რკინის გზათა ექსპლოატაცია საფრანგეთისა და ბელგიის ხელის უფლებების მიერ. აღნიშნულ გზების ექსპლოატაციის გამგე გენერალი დეგუტი იქნება.

რურის გამოძახილი.

ნაუენი. 22 თებერვალი. იტყობინებიან, რომ რურის ოლქის ოკუპაცია აუცილებლად გამოიწვევს შვეიცარიის რკინის გზებზე მოძრაობის შემცირებას, ნახშირის სიმცირის გამო.

საჭიროა ეს თვალსაჩინო გახდეს.

ნაუენი. 22 თებერვალი. „თეთრი სახლის“ წრეებში აცხადებენ, რომ შეერთებული შტატების შუამავლობა რურის საკითხში შეუძლებელია მანამდე, სანამ საბოლოოდ თვალსაჩინო არ გახდება რურში საფრანგეთის პოლიტიკის მარცხი.

ამერიკა თავს იკავებს.

ბერლინი, 21 თებერვალი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ სანამ ამერიკის ჩარევას სასურველად არ ჩასთვლიან ყველანი. მანამ ამერიკა თავს შეიკავებს ევროპის საქმეებში უშუალოდ ჩარევისაგან.

გერმანიის პროტესტი.

ბერლინი, 22 თებერვალი. გერმანიის მთავრობამ პროტესტით მიმართა საფრანგეთის მთავრობას გელზენკირხენზე ყაჩაღურ თავდასხმის გამო. გერმანიის მთავრობა მოითხოვს დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და ადასტურებენ ფაქტს, რომ გერმანიის პოლიციის აგენტობა მთლად იმის შემდეგ ასტეხეს სროლა ფრანგ-ჟანდარმების წინააღმდეგ, როდესაც უკანასკნელმა მძიმედ დასჭრეს გერმანელი პოლიციელი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

გერმანია ბოლომდის იბრძოლებს.

ბერლინი, 22 თებ. გერმანიის კანცლერმა კუნომ „პესტერ ლოიდის“ წარმომადგენელს განუცხადა, რომ არც ერთ მთავრობას არ შეუძლია დაუშვას რეინის საზღვრებზე საფრანგეთის პოლიტიკის გატარება. საფრანგეთი სცდილობს გერმანიის, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ერთეულის განადგურებას. გერმანია იბრძოლებს ამის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით, როგორ დამოუკიდებელი ქვეყანა თავისი მოთხოვნილებათა სამართლიანობის სრული შეგნებით. თავის გამარჯვებას გერმანია გამოიყენებს თავის მრეწველობის აღსადგენად.

მომარაგების შეწყვეტა.

ბერლინი, 22 თებ. გერმანიის გზათა მინისტრმა გამოაქვეყნა დადგენილება, რომლის ძალით ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც განაგებენ წყალის, გაზების და ელექტრონის მიწოდებას ფრანგების მიერ დაკავებულ ოლქში, წინადადება მიეცა შეწყვიტონ ყოველგვარი მომარაგება.

საფრანგეთის მთავრობის დადგენილებათა გაუქმება.

ბერლინი, 22 თებ. პრუსიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სევერინგმა აუკრძალა გერმანიის საზოგადოებრივ პოლიციას უფორმოთ და უიარაღოთ სამსახურის მოვალეობის შესრულება. ამით უქმდება საფრანგეთის მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმად ოკუპაციით დაკავებულ ოლქში პოლიცია უიარაღოთ უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას.

სიძვირის ზრდა.

მოსკოვი. 22 თებერვალი. მიუხედავათ მარკის კურსის აწევისა გერმანიაში სიძვირე თანდათან იზრდება. მარკის აწევით სარგებლობენ მხოლოდ მარტო მრეწველები, რომლებსაც მარკის კურსის ხელახლად დაცემისათვის შეუძლიათ იაფათ შეისყიდონ უცხოეთის ვალიუტა.

გერმანიის სახალხო პარტიის კრებაზე.

მოსკოვი. 22 თებერვალი. გერმანიის სახალხო პარტიის კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ პასიურმა [illegible] დადებითი შედეგი ვერ მოიტანა, რომ მხოლოდ [illegible] გამოსვლა მიანიჭებს გერმანიას გამარჯვებას.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ანგორა, 20 თებ. ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ ფიქრობს, რომ ისმეტ ფაშას ჩამოსვლის გამო შეიძლება ველოდეთ ზავზე დაჩქარებით ხელის მოწერას.

ქემალ-ფაშა ანგორაში.

პარიზი, 22 თებ. მუსტაფა ქემალ-ფაშა და ისმეტ-ფაშა ორშაბათს მივიდენ ანგორაში, სადაც მათ შეხვდენ სადგურზე კომისრები და ზოგიერთი დეპუტატები. ოთხშაბათს ისმეტ-ფა და მოხსენებას გააკეთებს ოსმალეთის შიდ ეროვნულ კრებაში.

მდგომარეობა რთულდება.

ნაუენი. 22 თებერვ. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში, ეყრდნობიან რა კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობას ახლო აღმოსავლეთში არსებულ საერთო მდგომარეობის შესახებ, ფიქრობენ, რომ ამ ჟამად პოლიტიკური კონიუნქტურა მცირე აზიაში მნიშვნელოვანად გართულებულია, რადგან ანგორას განზრახული აქვს წარადგინოს ლოზანას საზავო ხელშეკრულების კონტრ-პროექტი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

რურის საკითხის შესახებ.

მოსკოვი. 22 თებერვალი. ინგლისის თემთა პალატის ლიბერალურ პარტიების მიერ წამოდგენილი შესწორება რურის საკითხის გამო, უარყოფილ იქნა 305 ხმით წინააღმდეგ 195 ხმისა. მთავრობამ უფრო მეტი ხმა მიიღო ვიდრე ამას მოელოდა.

ლორდ სესილმა, უარყოფს რა ის ამერიკის და ერთა ლიგისადმი მიმართვის მიზანშეწონილებას, განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის გამოიყენოს ერთა ლიგა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შესაძლებელი გახდება.

სესილის განცხადებაზე პასუხი გასცა ლოიდ-ჯორჯმა. მან სთქვა: „რურის ოკუპაცია არის ფსიქოლოგიური შეცდომა. გერმანიის რევოლიუცია უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და მთელი ევროპისათვის, ვიდრე გერმანიის მილიტარიზმი. ჩვენ აქტიური ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ საფრანგეთზე, რათა ხელი ავალებინოთ რურის ოპერაციებზე“.

ბონარ ლოუმ მთავრობის სახელით გამოსთქვა შეურყეველი რწმენა, რომ საფრანგეთის მთავრობა გადაჭრით უარყოფს წინადადებას ერთა ლიგის რურის საკითხში ჩარევის შესახებ.

ტრედიუნიონების კონგრესის მანიფესტი.

მოსკოვი. 22 თებ. ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესმა გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც მოითხოვს მუშაო დღის შემცირებას. კონგრესი ალუთქვამს მუშებს გამოიყენოს ყველა მუშათა ორგანიზაციების მთელი ძალა კაპიტალისტების ცდის წინააღმდეგ გაადიდონ სამუშაო დღე.

ინგლისის მუშათა შორის.

მოსკოვი, 22 თებერვალი. სამხრეთ უელსში დამტვირთველ მუშებმა უარყვეს დამქირავებელთა წინადადება 8 საათის სამუშაო დღის 10 საათამდე გადიდების შესახებ.

ინგლისის მემაღაროეთა ორგანიზაციები მოითხოვენ მთავრობის კომისიის მიერ 1920 წელში შემუშავებულ წინადადების ცხოვრებაში გატარებას 6 საათის სამუშაო დღის შემოღების და წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.

რკინის მადანზე მომუშავეებმა უარყვეს მწარმოებელთა წინადადება სამუშაო დღის გადიდების შესახებ.

კერამიულ წარმოების მუშათა შორის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს მწარმოებელთა განზრახვას ხელფასის 20 პროცენტით შემცირების შესახებ, და მოითხოვოს ხელფასის 2 | 3—3 | 4 გადიდება.

აღმოსავლეთ უელსის ლუდის [illegible] მომებელთა წინადადება ხელფასის შილინგით შემცირებით შესახებ, უარყოფილია მუშების მიერ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲝᲞᲝᲢᲐᲛᲘᲐ

თემთა პალატის სხდომა.

ნაუენი. 22 თებერვალი. თემთა პალატამ 271 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ უარყო ლიბერალების 160-ის წინადადება ინგლისის მიერ მესოპოტამიის ევაკუაციის შესახებ. ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისს არასოდეს არ ქონია განზრახული სამუდამოდ დაეკავებია მესოპოტამია, მაგრამ ამ ჟამად ეს ევაკუაცია უდროვოდ უნდა ჩაითვალოს.

თემთა პალატაში ბონარ-ლოუმ მესოპოტამიისა და ირაკის სა



ამხ. ა. ეგოროვი

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ წითელ არმიაზე და უნდა გავაუმჯობესოთ იგი. ჩვენ უნდა გვყავდეს არმია მშვიდობიან შრომის და არა მარტო ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დასაცავად და მზად უნდა ვიყოთ გავუწოდოთ მათ დახმარების ძმური ხელი.

წითელი არმიის, მისი შექმნის მის მრავალრიცხოვან ფრონტებზე ბრძოლის ისტორია—არის ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია. საეჭვოა ისტორიას ახსოვდეს უფრო საგრძნობი კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის, ვიდრე ის, რომელიც არსებობდა წითელ ფრონტსა და წითელ ზურგს შორის, რომელნიც იბრძოდენ მშრომელთა რუსეთის სოციალურ რევოლიუციის დროშის ქვეშ. „ყოველი ძლევამოსილი რევოლიუცია ანგრევს ძველ არმიას-ო“, ამბობს მარქსისადმი მიწერილ ერთ-ერთ თავის წერილში ენგელსი და შემდეგ აღნიშნავს, რომ რევოლიუციის მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა საკუთარ ახალ სამხედრო აპარატის მოწყობაში.

ეს აღთქმა განხორციელებულ იქნა რუსეთის მუშათა კლასის მიერ მთელი ენერგიით და ენტუზიაზმით.

ვაღრმავებდით და ვაფართოებდით რა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს, ჩვენ ვაღრმავებდით და ვაფართოებდით ჩვენი სამხედრო აპარატის ჩარჩოებს. დავიწყეთ რა მოხალისე რაზმებით, ჩვენ გადავედით პარტიზანულ რაზმების მოწყობაზე, რომელნიც სტოვებდენ თავის ადგილებს განაგრძობდენ წინსვლას და უფრო ფართოთ შლიდენ რევოლიუციის წითელ დროშას. წითელი არმია რომ პარტიზანობის სტადიაში გაჩერებულიყო, იგი მაინც საპატიო ადგილს დაიჭერდა კაცობრიობის ისტორიაში სპარტაკელების წითელ რაზმების, ინგლისის და საფრანგეთის რევოლიუციის და პარიზის კომუნის რევოლიუციონურ ჯარების გვერდით. მაგრამ ჩვენი ოქტომბრის რევოლიუცია მოწოდებული იყო არა იმისათვის, რომ ელვის სისწრაფით გაეფანტა საუკუნოების ბნელი ღრუბლები, არამედ იმისათვის, რომ ყოფილიყო ბრწყინვალე დღის განთიადი. გავიარეთ რა მოხალისეობის და პარტიზანობის ფაზები, ჩვენ გადავედით რეგულიარულ მუდმივი წითელი არმიის სტადიაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი უყო უფრო ხელსაყრელი იარაღი ყოველმხრივ შემოსეულ მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საბჭოთა რუსეთის 1918 წლის 23 თებერვლის დეკრეტით ჩაეყარა საძირკველი მუშათა და გლეხთა წითელ არმიის მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე, რეგულიარულ და სწორ საფუძვლებზე მოწყობას. შემდეგ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1918 წ. 23 აპრილის დეკრეტებში, რომელიც პრინციპიალურად მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოთა 5 ყრილობაზე, განსაზღვრული იყო ის მთავარი ხაზი, რომელზედაც საბჭოთა ხელისუფლებამ ააშენა თავისი შეიარაღებული ძალები საბოლოვოდ უარყოფილ იქნა რა „შინა მრეწველობა“ რაც ყველაზე უფრო მიუღებელია შეიარაღებულ ძლიერების შექმნისათვის.

ჩვენი არმიის აღმშენებლობის თვითეული ფაზა, არის მომენტის, ოქტომბრის რევოლიუციის ძალის და ზრდის გამოხატულება. ჩვენი არმია გამოხატავდა და გამოხატავს იმ რეჟიმს, რომელსაც ჩვენ ვატარებდით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგებში, იგი არის მთელი ჩვენი აღმშენებლობის სარკე. ყველგან, რომელი ქვეყანაც არ უნდა ავიღოთ, სოციალური ურთიერთობის როგორი ფორმებიც იქ არ უნდა არსებობდეს, არმია გამოხატავს მას, სავსებით. მას გადაჰყავს თავის ლაკონიურ და გარკვეულ საწესდებო ენაზე. სახელმწიფოებრივი რეჟიმის ძირითადი ფორმები. წითელმა არმიამ გამოხატა ჩვენი საბჭოთა პროლეტარულ ორგანიზმების მთელი ძლიერება და სიმტკიცე. ჩვენ სიმტკიცეს კი ახასიათებს მუშათა კლასის ბატონობა, რომელიც დამყარებულია ღარიბ და მშრომელ გლეხთა ფართო მასებზე. მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი არმიაში დაეკისრა ყოველგვარ სახის პოლიტიკურ მუშაკთა ინსტიტუტს, დაწყებული რესპუბლიკის, ფრონტის, არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოდან და გათავებული როტების და სხვა პატარა ჯარის ერთეულთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობით.

და თუ ჩვენ მოვახერხეთ ბრძოლის ესოდენ სრულქმნილი ინსტიტუტის მოწყობა, როგორც ჩვენი წითელი არმიაა, ამ ამოცანის საიდუმლოება ჩვენ უნდა ვეძებოთ არმიის არა მმართველობის სწორათ დაყენებაში, არა ამ სამმართველოების მეთაურთა პირად ღირსებებში, არამედ რევოლიუციის გასაქანის ძლიერებაში და იმ როლში, რომელიც ითამაშა კომუნისტურმა პარტიამ რევოლიუციის მიმდინარეობაში. კომუნისტებს შექონდათ თავისი გავლენა არმიაში. ეს კომუნისტური პარტია ამოძრავებდა წითელ არმიელების შინელებში გადაცმულ მასებს თავდადებისა და გამარჯვებისაკენ, რის მაგალითებიც მრავლად მოიპოვება რევოლიუციის ისტორიაში.

დღეს, წითელი არმიის 5 წლის თავზე, აღარ იღვრება მუშათა და გლეხების სისხლი ფრონტებზე. ეს არის ყველაზე უფრო ძვირფასი საჩუქარი წითელი არმიისა ჩვენი განაწამებ ქვეყნისათვის.

თვითეულმა წითელ არმიელმა და თვითეულმა მუშამ იცის, რა ძალღონეს ხმარობს საბჭოთა ხელისუფლება იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობიანობა მთელ მსოფლიოში. ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით და ვაცხადებთ პროტესტს იმპერიალისტების, ბანკირების და მემამულეების ცდის წინააღმდეგ გამოიწვიონ ომის ცეცხლი, ვინაიდან ომის მთელი სიმძიმე ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ისევ მუშათა კლასმა უნდა ატაროს თავის მხრებზე. მშვიდობიანობის ჩვენი შეურყეველი სურვილი ჩვენ დავამტკიცეთ გენუას და ლოზანას კონფერენციებზე და არა ერთხელ მოუწოდებდით ბურჟუაზიულ მთავრობებს განიარაღებისაკენ, მაგრამ ჩვენ ზრახვებს წინ ელობება ყოველგვარი დაბრკოლებანი შუბლმაგარი პუანკარეების და კომპანიის მხრივ. **იმ დროს, როდესაც ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ პოლონეთთან არმიის შემცირების შესახებ, იგი ფარულად საფრანგეთის ბირჟევიკებთან ერთად იმუშავებს თავისი არმიის გადიდების გეგმას, რათა ორივე მხრიდან თავს დაესხან განიარაღებულ გერმანიას, გაანადგურონ იგი და შემდეგ საერთო ძალ-ღონით გაუსწორდენ საბჭოთა რესპუბლიკებს.** ეს გარემოება და ის, რომ საფრანგეთის მევახშეები და ბანკირები ამ ჟამად სძარცვავენ გერმანიას, წაართვეს რა გამცემელ მენშევიკების მმართველობის ქვეშ მყოფ უიარაღო ქვეყანას მისი ეკონომიური არსებობის მთავარი წყარო, რურის ოლქი, და აგრეთვე ის, რომ ინგლისის სურვილია, რათაც არ უნდა დაუჯდეს თავის აზრი კოლონიათ გადააქციოს ოსმალეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ კაპიტალისტებს სწყურიათ დაანთონ ცეცხლი, რათა ხელი მოითბონ მასზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ცეცხლში პირველად თვითონვე დაიწვიან.

ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ წითელ არმიაზე და გავაუმჯობესოთ იგი. ჩვენ უნდა გვყავდეს არმია მშვიდობიან შრომის და არა მარტო ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის დასაცავად და მზად უნდა ვიყოთ გაუწოდოთ მათ დახმარების ძმური ხელი.

ჩვენ გამოვიყენებთ ამ დროს ჩვენი არმიის საბრძოლველ იარაღის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. ჩვენ უნდა ჩავიდინოთ ეს, რათა ჩვენი წითელი არმია არ ჩამოუვარდეს ჩვენი მტრების არმიებს. ჩვენი მტრების არმიები მოწყობილი არიან სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მდიდრად არიან მომარაგებული და შეიარაღებულნი ყოველგვარ განმანადგურებელ იარაღებით.

იმისათვის, რომ ჩვენი არმია თანდათან განვითარდეს და გაუმჯობესდეს სამხედრო მეცნიერების მოთხოვნილების და გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიხედვით, ჩვენ უნდა მოვახერხოთ მთელ რიგ ისეთ ამოცანათა გადაჭრა, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბრძოლის უნარიანობის თვალსაზრისით.

ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ.

ჩვენ ხშირად გვესმის ლექციებზე და საუბარში, ვკითხულობდით ჟურნალებში, რომელნიც არკვევენ საჰაერო ფლოტის და არტილერიის საკითხებს, ქადაგება ტეხნიკის მნიშვნელობაზე. აღნიშნავენ, რომ დღეს ყველაფერია მანქანა—ადამიანი კი მეორე ხარისხოვან როლს ასრულებსო.

თუ ჩვენ საბოლოვოთ არ უარყავით ასეთი შეხედულება ომზე და გამარჯვებაზე, ეს ძალიან საბედისწერო იქნება ჩვენთვის თავისი შედეგებით. სრული სიმართლეა, რომ ადამიანის აზროვნება მთელი საუკუნოების განმავლობაში მუშაობდა განადგურების ახალ საშინელ იარაღების გამოგონებაზე და დღეს მან მიაღწია ტეხნიკურ გაუმჯობესების უმაღლეს საფეხურს. პრიმიტიულ შვილდ-ისარიდან ჩვენ გადავედით ავტომატიურ თოფზე, რომელიც მცირე დროის განმავლობაში აგზავნის დიდძალ ტყვიას დიდ მანძილზე, შურდულიდან—ზარბაზან „კოლოსალზე“, რომელიც იწვევს მსხვერპლს რამდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე, მოშხამულ ისრიდან—მხრჩოლავ შხამიან გაზის ყუმბარებზე. ზღაპარი, თვითმფრინავ ნოხების შესახებ, სინამდვილეთ იქცა და შეიცვალა ჰაეროპლანებით და სხვა.

მაგრამ ტეხნიკის ყველა ეს მიღწევანი სამხედრო საქმეში არ გვაძლევს უფლებას ზედმეტად დავაფასოთ მისი მნიშვნელობა. ჩვენი მტრები წასულ სამოქალაქო ომების დროს, არა ერთხელ გვჯობნიდენ ჩვენ არტილერიის და საჰაერო ფლოტის რიცხვით და ხარისხით, მათ ქონდათ დიდძალი ტეხნიკური საშულებანი, რომელსაც უხვად აწვდიდენ ინგლისის და საფრ. კაპიტალისტები, მაგრამ ყველაფერი ეს უძლური აღმოჩნდა უფრო ღარიბ, მაგრამ სულით და კლასიურ შეგნებით ძლიერ წითელი არმიის წინაშე. თავი უნდა გავანებოთ ტეხნიკის და ომის მატერიალურ საშუალებათა უპირატესობის ქადაგებას და უნდა შევისწავლოთ სამოქალაქო ომის გაკვეთილები, გამოარკვიოთ რა და რა ძლიერი მხარეებია მასში ჩვენთვის და შთაუნერგოთ ეს მხარეები ჩვენ არმიის. ჩვენ უნდა დავასაბუთოთ ჩვენი პროლეტარული, საბჭოთა სამხედრო იდეოლოგია, რომელიც შეეფერება ჩვენი ცხოვრების პირობებს და გამოვიმუშაოთ აღზრდის, გაწვრთნის და ორგანიზაციის მეთოდები, რომლის წყალობით ჩვენ შევსძლებთ წინააღმდეგობა გაუწიოთ მატერიალურ, ტეხნიკურ ელემენტს! ამიტომ პირველი და არსებითი ჩვენი ამოცანაა, ვიმუშაოთ სამოქალაქო ომის ყველაზე ძლიერ მხარეების გასარკვევად და გავატაროთ ცხოვრებაში მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა აღზრდის დარგში, რაც ჩვენ მოგვანიჭებს უპირატესობას იმ „ტეხნიკურ პირობებში“, რომელსაც ჩვენ შევხდებით თანამედროვე ომის დროს.

„ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲚᲝᲑᲐ“, ᲗᲣ ᲙᲚᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ.

უნდა გავარჩიოთ სამოქალაქო ომი პროლეტარიატისა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და რომელიც იძულებულია აწარმოვოს ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ თავის სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნამდე, იმ სამოქალაქო ომისაგან, როდესაც მისი წარმოება უხდება პროლეტარიატს ცოტაოდენი შესვენების შემდეგ, პროლეტარულ სახელმწიფო აპარატის განმტკიცების შემდეგ. ამავე დროს ბევრ ჩვენ სამხედრო სპეცებს აქამდის არ ესმით ეს და ხშირად გამოდიან ისინი თავიანთი ძველ სამოქალაქო ომთან შეუფარდებელ შეხედულებით. ეს სამხედრო სპეცები უთანაბრებენ სამოქალაქო ომის წარმოების მეთოდებს „მტაცებლობას“ და „იმპროვიზაციას“. მათი „მგრძნობიარე“ არსება ვერ შერიგებია იმას, რის მოწამენიც ასე თუ ისე ისინიც იყვენ წასულ სამოქალაქო ომის დროს. სამოქალაქო ომისათვისო, ამბობენ ისინი, სამხედრო მზადებას სრულიადაც არ აქვს ადგილი: ფრონტი სამოქალაქო ომის დროს არ იმართება მშვიდობიან დროს დაგროვილ ენერგიის აფეთქებით, არამედ იქმნება თვით ომის დროს ნაჩქარევათ დაგროვილ საშუალებით და სამხედრო ძალებით. სახალხო საშუალებანი და ძალები იხარჯება მოუფიქრებელ გეგმით და თითქოს მთელი სამოქალაქო ომი შენდება გამარჯვების „მტაცებლურ“ კანონებზე. **შემცდარია და მით უმეტეს დანაშაულებრივია მტაცებლობასთან სახალხო საშვალებათა გამოყენებისა შეთანაბრება ბრძოლის იმ მომენტში, როდესაც მუშათა-კლასის ბედი სწყდება.**

ობივატელური ურმები, რომელმაც შესცვალა სამხედრო „აბოზი“, ჯარის კაცები, რომელთაც მიაქვთ მოხსენებანი ველოსიპედით, ქალაქის ტელეფონები, რომლის საშუალებითაც მომქმედ არმიას ელაპარაკებიან და სხვა, განა ყველაფერი ეს, როგორც ამას ზოგიერთი სამხედრო სპეცები მტაცებლობათ სთვლიან, არის განმასხვავებელი მხარეები სამოქალაქო ომის პირობებისა? ქალები სამთითებით, რომელნიც 1812 წელს იბრძოდენ ფრანგების წინააღმდეგ, განა ეს არ არის ყველა სახალხო საშვალებათა უკიდურესი გამოყენების ნიმუში?

განა ჩვენ ასეთ რამეებს არ ვხედავთ იმპერიალისტურ ბურჟუაზიულ ომების დროს? ასეთი მოვლენები, რომელსაც ადგილი აქვს ყოველ ომში, კლასიურ ომის დროს, როდესაც არსებობს გამარჯვების ურყევი ნებისყოფა, პირდაპირ აუცილებელია.

ვსარგებლოთ რა მშვიდობიანი პირობებით, ჩვენ გვაქვს საშუალება შომზადებულად გამოვიდეთ მომავალ სამოქალაქო ომის დროს. წითელი არმიის სწავლება უკიდურესად განვითარდა. ვსწავლობთ ყველა დაწყებული უბრალო ჯარის კაციდან და გათავებული სარდლით. ჩვენ განუწყვეტლივ ვმუშაობთ ჩვენი არმიის სხვა და სხვა ორგანოების გასაუმჯობესებლად. უმჯობესდება მმართველობის აპარატები, ვამოწმებთ მობილიზაციის, აღრიცხვის და სხვა აპარატებს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩვენთვის საჭიროა მთელი ჩვენი სტრატეგია, ტაქტიკა, ორგანიზაცია ავაშენოთ ისეთ პრინციპებზე, რომელიც საშვალებას მოგვცემს მიზანს მივაღწიოთ სახალხო ძალების და საშვალებათა უმცირეს დახარჯვას და თვითეულ ადამიანის სიცოცხლის, სახალხო შრომის თვითეული პროდუქტის უფრო მიზან შეწონილად გამოყენებით. სამხედრო საქმის ეს მხარე ახლო მომავალში და შესაძლებელია მახლობელ თვეებში უნდა გავარკვიოთ ჩვენ. **მომავალ სამოქალაქო ომის გამარჯვების ყველა კანონები, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა შევისწავლოთ, და გავატაროთ ცხოვრებაში.** აღრიცხვის მობილიზაციის საკითხები, არა მარტო არმიის სამხედრო მდგომარეობაში ჩაყენების მხრივ, არამედ მთელი სახელმწიფოს მთელი სახელმწიფო აპარატის სამხედრო მდგომარეობაში ჩაყენება უნდა იქნას განხორციელებული. **ყველაფერი უნდა იქნას მიმართული და ნავარაუდევი, როგორც საათის მექანიზმი, რათა საჭირო მომენტში ვაწარმოვოთ სასურველი მუშაობა.**

ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲢᲐᲜᲝᲑᲐ.

რევოლიუციონური ჯარების საომარი მუშაობა ხასიათდება უკიდურესი ალტკინებით. წარსული სამოქალაქო ომი სავსეა რევოლიუციონურ ენტუზიაზმის ნიმუშებით, რაც გამარჯვების უმაგალითო ალტკინებას იწვევდა. ეს მეტად ძვირფასი მხარეა ჩვენი რევოლიუციონური არმიისათვის მაგრამ ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო მოქმედების დროს ჩვენ ვამჩნევდით, თუ როგორ იცვლებოდა ალტკინება აპატიით და ძალების მოდუნებით. განსაკუთრებით დამარცხების და მოწინააღმდეგის ტეხნიკური უპირატესობის დროს. **თანამედროვე დიდი ომის ბუნება ისეთია, რომ მარტო ერთი ალტკინება არ არის საკმარისი.** წავიდა ის დრო, როდესაც „ურა და ხიშტი“ იყო ერთად ერთი მძლავრი ფაქტორი. **დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ალტკინებასთან ერთად სიმტკიცეს და გამტანობას.** თანამედროვე ცეცხლის განმანადგურებელი თვისება და ამის გამო ბრძოლის გაჭიანურებული ხასიათი მოითხოვს რკინასავით მაგარ მებრძოლებს, რომელთაც აქვთ დიდი სიმტკიცე და გამტანობა, რომლის წყალობითაც ისინი ადვილად გადაიტანენ სამხედრო მოქმედებათა საშინელ პირობებს. დეე, გინდენბურგის ფრაზა: „ომს მოიგებს ის, ვისაც მაგარი ნერვები აქვსო“, რომელიც დღეს გაცვეთილ ჭეშმარიტებათ გადაიქცა, დარჩეს ძალაში. გავკაჟდებით რა სიმტკიცით და გამტანობით ჩვენ ამით გავამაგრებთ ჩვენს ნერვებს. ეს ერთი მთავარი ჩვენი ამოცანა უნდა იყოს.

ᲙᲝᲛᲐᲜᲓᲘᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ.

ყველა ხარისხის საკომანდო შემადგენლობას თანამედროვე ომი უყენებს უდიდეს მოთხოვნილებებს. ჩვენი წითელი კომანდირისათვის ცოტაა იყოს მაგალითი წითელ არმიელისათვის, ის უნდა იყოს ტეხნიკოს-სპეციალისტი, სამხედრო საქმის ინჟინერი. თანამედროვე კომანდორს მოეთხოვება ბრძოლის ყველა მოვლენების გაგება, მოეთხოვება ყოველ წუთში მისცეს თავის თავს ანგარიში იმ როლის შესახებ, რომელსაც თამაშობს მის განკარგულებაში მყოფი ნაწილი, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი მასზე დაკისრეულ ამოცანის გადაჭრას, მეზობლების დახმარებას, საერთო საქმისათვის მუშაობას ე. ი. მაშინ შესძლებს ინიციატივის გამოჩენას. ბევრ ჩვენ კომანდირებს ძალიან ვიწროთ ესმით სუვოროვის სიტყვები „თვითეულ ჯარის კაცს უნდა ესმოდეს თავისი მანევრი“. ჩვეულებრივ განმარტავენ, რომ თვითეულს უნდა ესმოდეს თავისი ამოცანა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ეს თანამედროვე ომში უვილაჯობა იქნება. ცოტაა, რომ როტის და ბატარეის კომანდირმა იცოდეს თავისი როტის ან ბატარეის ამოცანა. **რათა სისწრაფით გადასწყვიტოს ამოცანა ბრძოლის ცვალებად პირობებში, საჭიროა როტის და ბატარეის კომანდირს ესმოდეს ამოცანა არა ნაკლებ პოლკის მაშტაბში.** მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება უფროსებმა გამოიჩინონ ინიციატივა, ხოლო იმისათვის, რომ გესმოდეს უფრო დიდი სამხედრო ნაწილების ამოცანები, საჭიროა სათანადო მომზადება და მთავარი მოვლენების გაგება, ე. ი. საჭიროა სწავლა თვითგანვითარებისათვის. **სხვანაირათ რომ ვსთქვათ, საჭიროა წიგნი და სისწორით დაყენებული პრაქტიკული მეცადინეობა.** როგორც წიგნს ისე პრაქტიკას შეუძლია ყველაფრის მოცემა. წიგნი და პრაქტიკამ ერთმანეთი უნდა ავსონ. **განსაკუთრებით საჭიროა პრაქტიკა, რომელიც სავსებით შეეფერება სინამდვილეს სამხედრო მოქმედებები, როგორც ამას ხშირად აქვს ადგილი მანევრების დროს. ამრიგად, იმისათვის, რომ კომანდირი იყოს სამხედრო საქმის ინჟინერი, განათლებული ინჟინერი, მან არ უნდა მოიშოროს წიგნი, მან უნდა ისწავლოს და კიდევ და ისწავლოს.** ზედმეტი არ იქნება, და რომ მოგვეხდინა ჩვენი კომანდირების გენერალური გადათვალიერება. ერთი წლის მშვიდობიანმა მუშაობამ სასურველი შედეგი მოგვცა; ეს ვადა დღეს საკმარისი უნდა იყოს კომანდირის ყველა თვისებების გამოსაჩენად. უნდა გამოვცვალოთ საკომანდო შემადგენლობა, რათა გაუხსნათ ყველაზე უკეთესებს. შევასწოროთ საკანდიდატო სია.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

ის, ვინც ფიქრობს რომელიმე მანქანის გაკეთებაზე უნდა იცნობდეს ფიზიკის და ქიმიის კანონებს, მელზედაც დამყარებულია ამ მანქანის მუშაობა. გარდა ამისა ის უნდა იცნობდეს იმ მასალის თვისებას, რომლისაგანაც მანქანა კეთდება.

ყველა ამ საფუძვლების არ ცოდნა რა თქმა უნდა გამოიწვევს აღმშენებელის მიერ დაწყებულ მის სრულ უშედეგობას.

იგივე უნდა ვსთქვათ ჩვენ არმიის შესახებ. **ცოტად თუ ბევრად ხისმგებელი მუშაკი ვალდებულია იცნობდეს იმ კანონებს, რომელთანაც მას საქმე ექნება და იმ ადამიანის თვისებებს, რომელნიც მის განკარგულებაში იმყოფებიან.** ვიცოდეთ, რომ არმიაში ცარიელი ბრძანებებით ვერავითარ შედეგს მიაღწევთ. საჭიროა ადამიანების სრულებით ეს ბრძანებები. ამისათვის კი საჭიროა ფსიქიკაზე სათანადო ზეგავლენის მოხდენა, გამონახვა სათანადო ფსიქიური სტიმულების, რომელიც გადალახავდა მათი მხრივ მოსალოდნელ წინააღმდეგობას. [illegible] უნდა წარმოადგენდეს ერთიან ცოცხალ ორგანიზმს, რომელშიაც

შაბათს, ა. წ. 24 თებერვალს,

სახელმწიფო ოპერის შენობაში

შესდგება

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების და კავშირების სამმართველოების მონაწილეობით.

დღის წესრიგში სდგას:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლის თავი — ამხ. **ორახელაშვილის** მოხსენება.
2. წითელი არმიის 5 წლის თავი—ამხ. **ვრაჩევის** მოხსენება.
3. წითელი კავალერების საპატივცემლო ზეიმი და მათ დასაჩუქრება.

სხდომის შემდეგ სპექტაკლი. სხდომა დაიწყება საღამოს 6 საათზე.

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

შაბათს, 24 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგება

საქართველოს კომპ'რტიის ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები,

1. საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო სტრუქტურის სახებ.
2. საწევრო გადასახადის შესახებ.
3. მოხსენება აღმრიცხველ განმანაწილებელ განყოფილებათა სკოვის თათბირის შესახებ.
4. მიმდინარე საქმეები.

საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილება.

თის შესახებ შეკითხვაზე პასუხის დროს, განაცხადა, რომ ამ ტერიტორიების შესახებ არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე და რომ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ინგლისი გადასწყვეტს ევაკუაციის მოხდენას მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების შემდეგ.

მდგომარეობა საფრანგეთში

საფრანგეთის საბიუჯეტო დეფიციტი

მოსკოვი. 22 თებ. საფრანგეთის ბიუჯეტის 4 მილიარდიანი დეფიციტის დაფარვის გეგმა, რომელიც შეიმუშავა დეპუტატთა პალატის კომისიამ ექსპერტების მიერ სრულიად განუხორციელებლად იქნა ცნობილი. ბურჟუაზიის პრესის ორგანოები როგორც „ტანი" და „ჟურნალ ენდუსტრიელი" კომისიის გადაწყვეტილებას ირონიულად უცქერიან. მათი აზრით სახელმწიფოს ცალიერი ხაზინის შესავსებათ არ დარჩენილა სხვა გზა თუ არა ახალი სესხის გამოცემა.

რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულება

ჩიჩერინის ნოტა პოლონეთის მთავრობისადმი.

მოსკოვი. 22 თებერვ. საგარეო საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა გაუგზავნა პოლონეთის მთავრობას ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ პოლონეთსა და ლიტვას შორის მომხდარ გართულებას საბჭოთა რუსეთი სერიოზულად სთვლის. აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის ყოველ დარღვევას შეუძლია გავლენა იქონიოს საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე და გამოიწვიოს მისთვის არა სასურველი შედეგები. რუსეთი განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს ლიტვას და პოლონეთის კონფლიქტს იმიტომ, რომ ამ კონფლიქტში ჩაბმულია ერთი ლიგა, რომელიც იმყოფება საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ზეგავლენის ქვეშ. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ პოლონეთი და ლიტვა გამონახავენ კონფლიქტის მორიგებით დამთავრების საშუალებას და კისრულობს შუამდგომლობას კონფლიქტის მოწესრიგების და ზავის შენარჩუნების მიზნით.

რუსეთ-პოლონეთის ხელშეკრულება

მოსკოვი. 22 თებ. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელს პოლონეთში ობოლენსკის განუცხადა, რომ პოლონეთი თანახმაა დაიწყოს 26 თებერვალს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. პოლონეთის რწმუნებული მოსკოვში ჩამოვა აღნიშნულ დროისათვის.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა

სასამართლოს განაჩენი

მოსკოვი. 22 თებერვალი. ნიუ-იორკის შტატის უმაღლეს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთ-ამერიკის ურთიერთ დამოკიდებულების გაძლიერებისათვის. 1920 წელს ირკუტსკის საგუბერნიო ბეწვეულობის სამმართველომ კონფისკაცია უყო კოლჩაკის დროს ამერიკის ფირმის ვულფსონის მიერ შესყიდულ ბეწვეულობას. 3 სასამართლოს ინსტანციამ გამოიტანა გადაწყვეტილება სასარგებლოდ ფირმისა, რომელიც თხოულობდა ამერიკაში მყოფ საბჭოთა მთავრობის ქონების ხარჯზე თავის ზარალის ანაზღაურებას. მეოთხე და უკანასკნელ ინსტანციამ—უმაღლესმა სასამართლომ დაბალ ინსტანციების გადაწყვეტილება სცნო უკანონოდ და ფირმას უარი უთხრა საჩივარზე.

პოლონეთი და ლიტვა

პოლონელები იარაღს აჟღარუნებენ.

კაირი. 22 თებ. ინგლისური წყაროები აღნიშნავენ, რომ ლიტვასა და პოლონეთის შეხლა-შემოხლამ ამ ქვეყნებში ნაციონალიზმის უკიდურესი გაძლიერება გამოიწვია. გენერალ სიკორსკის არმიამ მოულოდნელათ იარაღის ჟღარუნი და აქტიური მოქმედება დაიწყო.

მემელის საკითხი

მოკავშირეების მიერ მემელის დატოვება.

პარიზი. 22 თებ. მოკავშირეთა სამხედრო გემებმა ორშაბათს მემელის ნავთსადგური დასტოვა.

მემელის ლიტვისადმი დაქვემდებარება.

ბერლინი. 22 თებ. ინგლისის მთავრობას აცნობეს, რომ ელჩების კონფერენციამ მემელის მთავრობა იცნო. უკანასკნელი ლიტვას დაექვემდებარება.

იტყობინებიან, რომ ვილნოს ახლოს ლიტველებისა და პოლონეთის რეგულიარულ ჯარების შეტაკება—შესრულებული ფაქტია.

ლიტვას წინააღმდეგობა.

ლონდონი. 22 თებ. კოვნოდან იუწყებიან, რომ ლიტველთა რეგულიარული ჯარი წინააღმდეგობას უწევს პოლონელთა ჯარის ნეიტრალურ ზონიდან მოძრაობას, მაგრამ, როგორც ლიტვას ისე პოლონეთის ოფიციალური წრეები უარყოფენ, რომ ორივე მხრის ჯარები შორის შეტაკება უკვე მოხდა და ირწმუნებიან, რომ შეტაკებას ადგილი ქონდა ირრეგულიარულ ჯარებს შორის.

სხვადასხვა ამბები

შვეიცარიის კომპარტიაში.

მოსკოვი. 22 თებერვ. შვეიცარიის კომპარტია შვეიცარიის ყველა ცენტრებში რურის ოკუპაციის საწინააღმდეგო მიტინგებს მართავს.

გაფიცვები ბუდაპეშტში.

მოსკოვი. 22 თებ. მუშათა პასიური წინააღმდეგობის ნაწილობრივ გაფიცვების გამო ბუდაპეშტში დაიკეტა მძიმე მრეწველობის 5 მსხვილი წარმოება, მათ რიცხვში სიმენსის და შუკკერტის ქარხნებიც. შესაძლებელია მელითონეთა მიერ საერთო გაფიცვების გამოცხადება.

საბერძნეთში

მოსკოვი. 22 თებ. საბერძნეთის მთავრობა ფიქრობს მოაწყოს პლებისციტი საბერძნეთში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმის საკითხის გადასაწყვეტად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ინტერვიუ ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 24 თებ. რიგადან იტყობინებიან: პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩიჩერინმა განაცხადა: „ინგლისის დელეგაცია აწარმოებდა მოლაპარაკებას იმგვარად, რომ აუცილებლად მომხდარიყო ლოზანის კონფერენციის შეწყვეტა. ოსმალეთისათვის წარდგენილ ხელშეკრულების ტექსტში შეტანილი იყო სრულიად ახალი პუნქტები ინგლისი თხოულობდა ხელშეკრულებაზე ლიბერალური წრეები უკვე მიხვდენ მთლიანად ხელის მოწერას. შეიქმნა მეტად რთული მდგომარეობა, მაგრამ სამხედრო მოქმედების განახლება მაინც შეუძლებელია. იწარმოებს რთული დიპლომატიური თამაში, რომლისგანაც დამოკიდებულია სეპარატიული ან საერთო ხელშეკრულების დადება, ან-და გამოურკვეველ მდგომარეობის გაგრძელება. ინგლისის პოლიტიკა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს სამხედრო გემებისათვის სრუტეების გახსნას, აძლიერებს ომის საფრთხეს და იწვევს ახალ სამხედრო ხარჯებს. საფრანგეთის და იტალიის ამ მოთხოვნილების საშიშროებას. ჩვენი მოთხოვნილება სრუტეების დაკეტის შესახებ ნიშნავს სამხედრო ხარჯების შემცირებას და ომის საფრთხის თავიდან აცილებას. ჩვენ მივაღწიეთ ბევრ რამეს, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი არ არის ხელმოწერილი.

საჰაერო ფლოტი.

მოსკოვი. 22 თებ. წერილში, რომელიც მიძღვნილია საჰაერო ფლოტისადმი, „პრავდა" სწერს: „ვაი იმ სახელმწიფოს, რომელიც ვერ შესძლებს ჰაერით მოსულ მტრის დამარცხებას: მისი გზები განადგურდება, მისი არსენალი აფეთქებულ იქნება, ნავთსადგურები განადგურებულ იქნება, სამრეწველო ცენტრები მოსპობილ იქნება, სატახტო ქალაქში გამეფდება მღელვარება და საშინელება. ჩვენმა მეზობელ იმპერიალისტებმა კარგათ იციან რას ნიშნავს ძლიერი საჰაერო ფლოტი და განუწყვეტლივ აშენებენ ათასობით ჰაეროპლანებს. და ჩვენ თავის დროზე უნდა გავითვალისწინოთ ეს. მხოლოდ ისეთ წითელ საჰაერო ფლოტს, რომელიც შესძლებს ჰაერში უკუაგდოს მტრები, თუ არა პირველმა დაეცეს და გაანადგუროს მათი ბაზები, შეუძლია რესპუბლიკის სიმრთელის თავდები იყოს.

ლოზუნგის შემდეგ „გაუმარჯოს წითელ ფლოტს" იბადება ახალი ლოზუნგი „გაუმარჯოს წითელ საჰაერო ფლოტს".

ახალი ფრონტი.

მოსკოვი. 22 თებ. „პრავდა" წერილში სათაურით „ახალი ფრონტი" სწერს: „მიწის დამუშავების უვარგისობამ და დაუთესავ ადგილების გადიდებამ ხელი შეუწყო მავნეების გამრავლებას. წინეთ მათთან ბრძოლა სწარმოებდა ცუდი საშუალებებით. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დააყენა ეს ბრძოლა შესაფერ სიმაღლეზე. ეხლა მავნეები გვემუქრებიან უამრავ ზარალით. მათ ანგარიში უნდა გაეწიოს, როგორც ცალკე ფრონტს. დროა ამ ფრონტზეც ბრძოლიდან გადავიდეთ შეტევაზე.

მხოლოდ ადგილების ფართო და ყოველმხრივ დახმარებით ბრძოლა მიიღებს საჭირო შეტევითი ხასიათს და რამოდენიმე ასი მილიონი ფუთი პური გადარჩენილ იქნება.

ვრანგელის ჯარის ლიკვიდაცია.

მოსკოვი, 22 თებერვალი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში მომხსენებელ ლანდრიმ მოითხოვა 114 მილ. ფრანკის გადადება ვრანგელის ჯარის ლიკვიდაციისათვის. მომხსენებელი წინადადებას იძლევა გაიყიდოს ვრანგელის გემები, რომ ამით ანაზღაურებულ იქნან გაღებულ კრედიტების ნაწილი.

პროტესტის მიტინგები.

მოსკოვი. 21 თებ. ომსკი, კოსტრომა, სემი-პალატინსკი, იჟევსკისა და უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებიდან იუწყებიან რურის ამბების გამო გამართულ საპროტესტო მიტინგების შესახებ.

დახმარება რურის მუშებისათვის.

მოსკოვი. 21 თებ. ჩერნიგოვის გუბერნიის, ჩრდილოეთ ქარხნის მუშებმა რურის მუშებისათვის 8.000 მანეთი შეჰკრიბეს.

— შესტკენის მუშებმა დაადგინეს გამორიცხონ თავიანთი ჯამაგირებიდან 2 პროც. ექვსი თვის განმავლობაში რურის მუშათა სასარგებლოთ.

— ნოვგოროდის გუბერნიის ჩრდილოეთ მაზრაში სასწავლებელთა ყრილობამ დაადგინა გადასდოს რურის მუშების სასარგებლოთ ერთდღიური შემოსავალი.

მავნებთან ბრძოლა.

მოსკოვი. 21 თებ. სტავროპოლის გუბერნიაში 12 თებერვლიდან 10 ივნისამდე გამოცხადებულია შრომისა და ტვირთზიდვის მობილიზაცია მავნეებთან საბრძოლველათ, რომლებმაც გუბერნიაში 1.200.000 დესიატინა დაფარეს.

საუბარი ამხ. კამენევთან და ამხ. სკლიანსკისთან

მოსკოვი. 23 თებერვ. რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სკლიანსკიმ „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:".

„ამ ჟამად წითელი არმია სამჯერ ნაკლებია იმ არმიაზე, რომელიც ჰყავდა მეფის რუსეთს 1914 წელს. არმიის შემცირებასთან დაკავშირებით ისმება საკითხი მილიციური სისტემის შესახებ. სამილიციო ნაწილები უნდა შეიქნეს ამ რიგად, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება მოსალოდნელ ომის დასაწყისშივე. განსაკუთრებული სწავლა ორგანიული დამოკიდებულება თავის ნაწილთან, მაღალი დისციპლინა—უნდა ახასიათებდეს სამილიციო ჯარების თვითეულ წითელ არმიელს. სამილიციო ნაწილების კლასობრივი შემადგენლობა თამაშობს ისევე მნიშვნელოვან როლს, როგორც წითელი არმიის მუდმივ ნაწილებში. კომპარტიის თვითეული წევრი უნდა იყოს წითელ არმიელი, კომანდირი ან კომისარი სამილიციო ნაწილის. მეორე დამკვრელ ამოცანას ახლო მომავალისათვის შეადგენს ტექნიკურ ჯარების, განსაკუთრებით საავიაციო ნაწილების განვითარება".—„როს-ტას" თანამშრომელთან საუბრის დროს მთავარ-სარდალმა კამენევმა სთქვა „ხუთი წლის თავის დღესასწაულისათვის წითელი არმია შემცირებულია საკადრო შემადგენლობამდე. ის გადაიქცა გამარჯვების სკოლად, რომელიც უნდა გაიაროს ყველა ჯარში გასაწვევ ჰასაკის ახალგაზრდებმა, რათა მოკლე ხნის განმავლობაში მოემზადონ და შეიქმნენ ღირსნი იმ გმირების, რომლებსაც ისინი შესცვლიან. ამ სკოლაში წითელი არმიის მებრძოლებმა უნდა გაიარონ მხოლოდ ის, რაც აუცილებელია: წითელ არმიას ესაჭირო ბა დიდი ყურადღება ყველა სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციების მხრივ. რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა წითელარმიელებს, მით უფრო მეტი გამარჯვებები იქნება მიღწეული ახალი მებრძოლების მომზადების საქმეში.

— წითელი არმიის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად განათლების და ხელოვნების სრულიად-რუსეთის კავშირების პრეზიდიუმებმა დაადგინეს მიიღონ კულტურული შეფობა წითელ არმიაზე და წითელ ფლოტზე. შეფობის მიზანია უფასო სამსახურის გაწევა წითელი არმიის და წითელი ფლოტის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საქმეში; წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ხელის შეწყობა, ლექციების და საუბრების მოწყობა, წიგნთსაცავების და სამკითხველოების მოწყობა, ზეპირ და წერილობით გაზეთების და ჟურნალების გამოშვება, წარმოდგენების, კონცერტების. კინო-სეანსების და გამოფენების მოწყობა, მხატვრული სტუდიების და წრეების ხელმძღვანელობა, საყოველთაო, სამეცნიერო ექსკურსიების მოწყობა, საჭირო სამოსწავლო ლიტერატურის გამოცემა და სხვა.

ამის გამო, ხელოვნების მუშაკთა სრულიად-რუსეთის კავშირის პრეზიდიუმმა მიმართა საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების ყველა მუშაკებს მოწოდებით. რომელშიაც აღნიშნულია, რომ ხელოვნების მუშაკები ხუთი წლის განმავლობაში დახმარებას უწევენ წითელ არმიის სამხატვრო - განმანათლებელი მუშაობით ფრონტებზე და ზურგის ნაწილებში. ეს მუშაობა ეხლა უნდა—იყოს უფრო გეგმაშეწონილი ხელოვნების თვითეულ მუშაკს უნდა ესმოდეს მთელი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა მის წინაშე მდგომ ამოცანების—წითელი არმიის და წითელი ფლოტის კულტურული შეფობის გატარება.

ასეთივე მოწოდება გამოუშვა სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა კავშირმა.

— სარატოვის გუბერნიის საოლქო და გლეხთა კონფერენციებზე მიღებულია გადაწყვეტილება, რათა ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ წითელ არმიას.

— უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო 30,000 მან. ხარკოვში წითელ არმიელების და ინვალიდების სახლების მოსაწყობად.

უცხოეთის ცხოვრება

კაშენის პროცესი

როდესაც საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა პალატას ამხ. კაშენისათვის სადეპუტატო იმმუნიტეტის ჩამორთმევა, მთავრობა ამას ასაბუთებდა მით, რომ დეპუტატ კაშენს „უცხო სახელმწიფოების აგენტებთან აქვს კავშირი"-ო. გარდა ამისა მაძებარ პოლიციამ აცნობა მთავრობას, რომ იტალიელმა კომუნისტებმა რეინის პროვინციის საზღვარზე საბრძოლველი რაზმები და ამუნიცია დააგროვეს და რომ ოკუპაციისადმი სამხედრო წინააღმდეგობის ორგანიზაცია საფრანგეთში დავალებული ჰქონდა ამხ. ამხ. კაშენსა და მონმუსოს. პოლიცია ყოველგვარად ცდილობდა დაემტკიცებინა კომუნისტების მხრით რაღაც „შეთქმულების" არსებობა.

მაგრამ უკვე კაშენის დატუსაღების შემდეგ, გამომძიებელს უფრო ფრთხილათ მოუხდა კაშენისადმი მოპყრობა და უკანასკნელს ნამდვილ „ბოროტმოქმედებათა" გრძელი სია წარუდგინა: მონაწილეობა ესსენის კონფერენციაში, მიტინგებზე გამოსვლა და სხვა. ამის გამო ამხ. კაშენმა მისი დატუსაღების წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა, ვინაიდან მისი იმმუნიტეტის ჩამორთმევის დროს პალატა ხელმძღვანელობდა სრულიათ უსაფუძვლო ბრალდებით. გარდა ამისა გერმანელი კომუნისტები, როგორც გერმანიის მთავრობის აშკარა მტრები, არ შეიძლება მისი აგენტებათ ჩაითვალონ.

მობილიზაციით გაწვეულნი მიემგზავრებიან რურში „ინტერნაციონალი"-ს მღერით.

„ჰიმანიტე"-ს საინტერესო ცნობები მოჰყავს მობილიზაციით გაწვეულ საფრანგეთის რკინის გზელთა რურის ოლქში გამგზავრების შესახებ.

რკინის გზელთა ერთი ნაწილი, ორმაგი ხელფასით წახალისებული, რურში საკუთარის ნებით მიემგზავრებოდა. მეორე ნაწილი კი მობილიზაციით იყო გაწვეული. ამ მეორე კატეგორიის რკინის გზელთა გაგზავნის დროს პარიზის სადგურზე ერთგვარი მღელვარება ჩამოვარდა, როგორც სჩანს, ისინი არ იჩენდენ ვაგონებში შესვლის დიდს სურვილს და, უეცრათ, პროტესტის ნიშნათ, „ინტერნაციონალი" დაიმღერეს. გამოწვეული იყო პოლიცია, მაგრამ მისი მოსვლა უკვე დაგვიანებული იყო.

ბულია ყველა მისი ნაწილების დებანი, შეიარაღებულ ბრძო იმ ამოცანათა სისრულეში მო ანად, რომელიც დასმულია სარ ბის წინაშე. ამისათვის საჭიროა არმიის შემადგენლობაში მყოფი ბი ახერხებდენ თავდაცვის ბუ ვ ინსტიქტის გადალახვას და ნებულად მოქმედებას. ამ ამო ნის გადასაწყვეტად საჭიროა რეტიული და პრაქტიკული მომ ბა. წითელ არმიელების და სა ნდო შემადგენლობის აღზრდა ოდ მაშინ შეიძლება დავაყენოთ გზაზე, როდესაც ეს აღზრდა რებული იქნება მასის ფსიქო ის მეცნიერულ ნიადაგზე. კი რომ საკმაოდ არ იყოს დამუშა , მასის ფსიქოლოგია ჩვენ უნდა ამოვსწუროთ ყველაფერი ამოწერავც შესაძლებელია და ეყენ თ წითელი არმიის სამსა სთვის. უბრალო ბრბოს მწყობრ, ალინის მქონე ორგანიზაციად ქცევა არც ისე მარტივი ამო ა და მას აქვს თავისი კანონები, ის დარღვევა შეიძლება საბე ერო გახდეს. ყველა ამ საკით ჩვენ უდგებით ნაცადი გზით რაქტიკულის თვალსაზრისით. მა ეს ცოტაა. **ჩვენ დღის წეს ში უნდა დ ვსვათ „არმიის ფსი ლოგიის" მეცნიერულად შესწავ და ეს მეცნიერება დიდ სამსა გაუწევს ჩვენი არმიის აღმშე ობას.** ბრძანებებით და საგაზე რილებით მეცნიერება რა თქმა არ შეისწავლება. მაგრამ ასეთი ების აუცილებლობის შეგნე ერ რამეს ნიშნავს. დღეს პირ ანებში დავკმაყოფილდეთ ოლ ან და არმიებთან პატარა ლა ტორიების დაარსებით, სადაც ლი იქნებიან მეცნიერების მო ხალხი, შემდეგ კი საქმე თოვდება, გამოიცემა სათანადო ბი და ჩვენ მივიღებთ იმას, ლოდენ გვესაჭიროება.

ოლის მომზადების ძირითა ოთხოვნილებანი და ქვეითა ჯარის მნიშვნელობა.

ედრო მოქმედებათა სირთულე ანამედროვე ომების წესი აყე საკითხს შემდეგი ამოცანის სი გადაჭრის შესახებ: როგორც მებრძოლის, ისე მთელი ჯა ტაქტიკურ შეერთებათა მომზა სამხედრო მომზადების საკით და მსოფლიო ომის გამოცდი მიხედვით მთელი ლიტერატუ ურება ჩვენი მტრების მიერ. საკითხში აუცილებლად იქნება წინააღმდეგობა, როგორც შე ადგილობრივ პირობების სხვა სხვაობისა. ძნელია ჯერ-ჯერო ლაპარაკი საბოლოვო და დე დასკვნებზე, მაგრამ ზოგიერ საერთო მოსაზრებები კი შეიძ გამოვიყვანოთ აქედან. ტექნი ვიდარ ჩვენ მოწინააღმდეგეებს, მორალური ძლიერებისა და იდეების პოპულიარობისა, ჩვენ დავუპირდაპიროთ მომზადება ტყვის ფართო მნიშვნელობით. **მზადება მოგვცემს უნარს.** ხო უკანასკნელი—რწმენას, რაც წყვეტს ჩვენ გამარჯვებას. როგორც სამოქალაქო, ისე განვლილი იალისტური ომი გვაძლევენ სასოწარკვეთილებათა მრავალ ითებს, რაც იყო შედეგი სათა მომზადების უქონლობისა. ჩვენ ბევრი მაგალითები იმისა, რომ ჯარის ნაწილები საუკეთესო მებრძოლების დაკარგვის შემდეგ, თუმცაღა შევსებულიც იყვენ, სათანადო მომზადებას მოკლებული მებრძოლობით, ველარ იჩენდენ სიმტკიცეს და ადვილად განიცდიდენ სამხედრო პირობების შემთხვევითი მოვლენების ზეგავლენას.

მანქანა ჩვენ დროში ბევრ რამეს ნიშნავს, მაგრამ მთავარ როლს მაინც ადამიანი თამაშობს, ამას ნათლად ამტკიცებს ქვეითა ჯარის მაგალითები ქვეითა ჯარი ყოველთვის მთავარ იარაღს წარმოადგენს. ქვეითი ჯარის მუშაობა ბრძოლაში უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე ზოგიერთებს აქვთ წარმოდგენილი. ქვეითა ჯარში სამსახური ყველაზე ნაკლებად ითმენს შაბლონებს. აქ არა მარტო გუნდის უფროსს მართებს თავისი მებრძოლების ხელმძღვანელობა, არამედ თვითეულმა მსროლელმა წითელ არმიელმა შეგნებულად და სისწორით უნდა შეასრულოს თავისი ფუნქციები. თვითეული გადაჯგუფება, თვითეული გასროლილი ტყვია მოითხოვს მისგან მოფიქრებულ მოქმედებას.

არც ერთ ნაწილში არ არის საჭირო ტაქტიკის ისეთი მოქნილობა, როგორც ქვეითა ჯარში. ეჭვს გარეშეა, რომ ტექნიკურ ნაწილებში სამსახური ძალიან რთულია, მაგრამ არც ქვეითა ჯარის სპეციალობა არის მარტივი. თვითეულ ჩვენ კომანდირს უნდა ახსოვდეს, რომ კარგი ქვეითა ჯარის გარეშე ჩვენ სუსტნი ვიქნებით და ჩვენ ვერ გვიშველის ვერც მძიმე არტილერია, ვერც ტანკები და ვერც ჰაეროპლანები. ქვეითა ჯარების შესავსებათ ჩვენ არა გვყავს შესაფერი, მომზადებული ხალხი. ამიტომ იმისათვის, რომ გვყავდეს კარგი ქვეითა ჯარები, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჯარში გასაწვევ ჰასაკამდე სამხედრო მომზადების რიგიანად დაყენებაზე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ დარგში დადებით შედეგებს, რათა ყაზარმა გადავაქციოთ სამხედრო განათლების დამთავრებულ საფეხურად. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღევანდელ მოკლე ვადიან საყაზარმო სამსახურის დროს, რის გამო მებრძოლების მომზადების მთელი შავი სამუშაო ჩვენ უნდა შევასრულოთ ამ მებრძოლის ნამდვილ სამსახურში გასაწვევ ჰასაკამდე.

საერთო დასკვნები

1) სამხედრო ტექნიკის ძლიერი განვითარების მიუხედავათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრძოლაში მორალურ ელემენტს—ადამიანს—მხარეზე რჩება. ჩვენ სწორ-საფუძველზე უნდა დავაყენოთ არმიის აღზრდა, განვავითაროთ მასში ის ძლიერი მხარეები, რომლებიც ნათელჰყო წარსულმა სამოქალაქო ომმა.

2) ხალხის ძალების უკიდურესი გამოყენება „მტაცებლობა" კი არ არის, არამედ აუცილებელი მოვლენაა კლასხიურ ბრძოლის პროცესში, მუშათა კლასისათვის სასიკვდილო საფრთხის მომენტში.

დასვენება ჩვენ გვავალებს მოვამზადოთ მომავალ სამოქალაქო ომში გამარჯვებისათვის საჭირო პირობები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენთვის უძლირეს ბურჟუაზიულ არმიასთან მოსალოდნელ შეტაკების ხელსაყრელი შედეგი.

3) თანამედროვე დ დი ომის ბუნება ისეთია, რომ მარტოოდენ აღფრთოვანება საკმაო არ არის გამარჯვებისათვის. „წითელ არმიაში პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა აღვზარდოთ სიმტკიცე და გამტანობა, რომლებიც პირველხარისხოვან მნიშვნელობას იღებენ.

4) ყოველ ხარისხის საკომანდო შემადგენლობას თანამედროვე ბრძოლა დიდს მოთხოვნილებებს უყენებს. წითელი კომანდირი ტექნიკოს-სპეციალისტათ უნდა გახდეს.

5) წითელ არმიის აღზრდა მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ საფუძველზე უნდა იდგას, გამოცდილება დ პრაქტიკული მოქნილობა ამ საკითხში ბევრს ნიშნავს, მაგრამ ყველაფერს კი-არა. საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს „არმიის ფსიქოლოგიას"—როგორც მეცნიერებას.

6) ინიციატივა და თავის თავის რწმენა—გამარჯვების ფრიად მნიშვნელოვანი პირობები — შესაძლებელია ექნეს მხოლოთ კარგათ მომზადებულ მებრძოლთ. ჩვენ რათაც უნდა დაგვიჯდეს ეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჯარი დაყენებულ იქნას ბრძოლის თან მედროვე მოთხოვნილებების სიმაღლეზე.

7) ქვეითა ჯარი, ჩვენი სპეციალობით უნდა მივიჩნიოთ და ჯარში გაწვევამდე მომზადების შემოღებით მივაღწიოთ იმას, რომ ყაზარმა ჯარის კაცისთვის სამხედრო მომზადების მეორე და საბოლოვო საფეხურათ გახდეს.

ა. ეგოროვი.

პოლიტიკური მუშაობა წითელ არმიაში

„ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, მხოლოთ სხვა საშუალებებით"—ამბობს ერთი შესამჩნევი სამხედრო ავტორიტეტი კლაუზევიცი.

და ეს მართალიც არის. არმია ყოველთვის იყო და მუდამ იქნება გაბატონებულ კლასის საგარეო და შინაური პოლიტიკის მატარებელი.

მეფის რეჟიმსა და ძველს არმიას ერთმანეთისაგან მთელი უფსკრული ჰყოფდა: გაბატონებულ თვითმპყრობელობის ინტერესები არ შეესაბამებოდა არმიის ინტერესებს, რომლის 90 პროცენტი მშრომელ ელემენტებისაგან შესდგებოდა. ამიტომაც იყო, რომ მეფის მთავრობას ეშინოდა, როგორც ცეცხლის, არმიის მიერ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებისადმი ზიარებისა, ამიტომაც ძველი არმია სიბნელითა და უუნურობით იყო მოცული.

სულ სხვა არის ეხლა. ჩვენი მუშათა და გლეხთა წითელი არმია არის მუშათა კლასის შეიარაღებული ძალა, მახვილი პროლეტარიატისა. საბჭოთა სახელმწიფოს და წითელ არმიის მიზნებს შორის არ არის წინააღმდეგობა, საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები სავსებით ეთანხმება მშრომელთა მასსების ინტერესებს.

ჩვენი წითელი არმია—ერთად-ერთია მთელს მსოფლიოს არმიათა შორის, რომელშიაც ჯარისკაცი—იგივე მოქალაქეა.

პროლეტარულ დიქტატურის არმიისათვის სრულიათ უცხოა ბურჟუაზიული პრინციპები—„აპოლიტიკუროობა"—პირიქით, წითელი არმია, არა თუ ყოველ პოლიტიკურ ამბის თავისუფალი მეთვალყურეა, არამედ ის აქტიურათ ანხორციელებს საბჭოთა მოქალაქეობის უფლებებს, წითელ არმიაში სჩქეფს პოლიტიკური ცხოვრება. ყოველ წითელ არმიელმა უნდა იცოდეს—და იცის კიდეც—რისთვის არის ის შეიარაღებული, წითელი არმია ღრმათ განიცდის იმ იდეებს, რომელთა განსახორციელებლათ მან და იბრძოლოს. კიდევ მეტიც—წითელი არმიას ფართოთ შეაქვს სოფელში ოქტომბრის რევოლიუციის იდეები.

აქედან ნათლათ სჩანს პოლიტიკურ მუშაობის ადგილი და მნიშვნელობა წითელ არმიისათვის, პოლიტიკურ აპარატების როლი არმიაში.

წითელ არმიაში პოლიტიკურ მუშაობის განვითარებამ სამი მეტათ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო: 1) არმიის აღმშენებლობის პირველდაწყებითი პერიოდი, 2) მუშაობა ფრონტების არსებობის დროს და 3) მუშაობა მშვიდობიანობის პირობებში განვიხილოთ ამ პერიოდებში პოლიტიკურ მუშაობის ზრდა-განვითარება.

პოლიტიკური მუშაობა წითელი არმიის აღმშენებლობის პირველ პერიოდში.

რევოლიუციონურ არმიის აღმშენებლობის პირველ პერიოდში პოლიტიკურ ორგანოებს ორი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა.

პირველი—არმიაში და მთელს საბჭოთა სახელმწიფოში გამეფებულ დაღლილობისა და ომისადმი სიძულვილის გადალახვა, საჭირო იყო—რევოლიუციის ინტერესებისათვის შეიარაღებულ ბრძოლის პრაქტიკულ და ისტორიულ აუცილებლობის დამტკიცება.

მეორე—საჭირო იყო არმიის ფარგლებში მომქმედი დამრღვევ ძალების გადალახვა, გლეხურ სტიქიის ბუნტარული ელემენტების აღმოფხვრა (პარტიზანობის ეპოქაში) და არმიის ჩამოყალიბება დისციპლინით და ორგანიზაციულათ მთლიანსა და რევოლიუციონურ ბრძოლის სულით აღფრთოვანებულ ერთეულში.

პოლიტიკურ ორგანოების პირველი ამოცანა იყო—არმიაში მოხალისეების შეკრება. უკვე 1918 წლის დეკემბერში დემობილიზაციისთვის მოწვეულმა ყრილობამ თავის შემადგენლობიდან სააგიტაციო კოლეგია გამოჰყო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება სოციალისტურ არმიის კორპუსების ორგანიზაციის შესახებ, გამოიმუშავა სააგიტაციო-ორგანიზაციულ მუშაობის ძირითადი დებულებები და ინსტრუქცია აგიტატორებისათვის. მაშინვე დაედო დასაწყისი დღემდე არსებულ სამხედრო კომისართა ინსტიტუტს.

სრულიათ რუსეთის წითელ არმიის საორგანიზაციო კოლეგიამ, რომელიც დაწესებული იყო სახალხო კომისართა საბჭოს ძირითადი დეკრეტით მუშათა და გლეხთა წითელ არმიის შექმნის შესახებ (15 იანვრიდან—28 თებერვლამდე), თავის არსებობის მეორე კვირაშივე შექმნა „სააგიტაციო-ორგანიზაციული განყოფილება", რომელიც გახდა წითელ არმიაში პოლიტიკურ მუშაობის პირველ ცენტრალურ აპარატათ.

სააგიტაციო-ორგანიზაციულ განყოფილების ამოცანაში შედიოდა: 1) წითელ არმიის შექმნისათვის ფართო აგიტაციის გატარება, 2) არმიაში მოხალისეთა შეკრების ორგანიზაცია, 3) მონაწილეობა სამხედრო აპარატის აღმშენებლობაში და 4) წითელ არმიის შეკრებილ ჯარისკაცთა შორის ფართე სააგიტაციო განმანათლებელ მუშაობის დაყენება რევოლიუციონურ დისციპლინის შექმნისა და რევოლიუციისა და კომუნიზმისადმი ერთგულების ჩანერგვის მიზნით.

სააგიტ.-ორგანიზაციულ განყოფილების ფილიალები ადგილებზე იყო საბჭოთა, რევოლიუციონურ კომიტეტების სამხედრო განყოფილებებთან არსებული სააგიტ.-ორგანიზაციული ანუ საორგანიზაც.-გამწვევი სექციები. სააგიტაციო მუშაობას იმ დროს უპირველესი ადგილი ეჭირა, საჭირო იყო აგიტატორების კადრები. ამ მიზნით სრულიათ რუსეთის აღმასკომთან და სრ. რუსეთის კოლეგიასთან გახსნილი იყო პირველი მოკლე ვადიანი (ორიდან ექვს კვირამდე) კურსები და უკვე 1818 წლის დასასრულს ასეთი კურსების რიცხვი იყო 16, რომლებშიაც 29-დან (ორიოლ) 150-მდე (სრ. რუსეთის კოლეგიასთან არსებული კურსები) მსმენელი ირიცხებოდა. 1918 წლის 14 თებერვლიდან 26 მარტამდე სააგიტ.-ორგანიზაციულ განყოფილების მიერ ადგილებზე 286 აგიტატორი იყო დაგზავნილი. იმავე დროს გაძლიერებული იყო ბეჭდვით სიტყვით აგიტაცია. თებერვლიდან აპრილამდე გამოქვეყნებულ გამოცემების რაოდენობა 2.406.000 ცალით განისაზღვრება. გარდა ამისა განყოფილება მრავლათ გზავნიდა ადგილებზე გაზეთ „Красная Армия" და „Флот"-ს.

სააგიტაციო-ორგანიზაციულ განყოფილების მიერ წარმოებული იყო დიდი მუშაობა არა მარტო არმიის შექმნის აგიტაცით, არამედ, აგრეთვე, მოხალისეთა შეკრებისათვისაც მაგალითად, 1918 წლის 18 თებერვლამდე პეტროგრადში შეკრებილი იყო 5.500 მოხალისე, 26 თებერვლისათვის—9.600 კაცი, 1 მარტისათვის—12.800, 1 აპრილისათვის კი—25.000 კაცი. 1918 წლის აპრილის დამლევს წითელ არმიის მოხალისეთა რაოდენობა 106.000 აღწევდა.

1918 წელში, სამხედრო კომისრების მოქმედებათა გაერთიანებისა და მათზე სამხედრო კონტროლის დაწესების მიზნით სამხედრო კომისარიატების შექმნისთანავე დაწესებული იყო „სრულიათ რუსეთის სამხედრო კომისართა ბიურო", რომლის სააგიტაციო-პოლიტიკური განყოფილება, თანახმათ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანებისა, წითელ არმიის ცენტრალურ პოლიტიკურ ორგანოთ ხდება. იგი აერთიანებს, ინსტრუქციებსა და კონტროლს აწარმოებს ყველა იმ ორგანოთა მოქმედების მიმართ, რომლებიც მართავენ არმიაში სააგიტაციო და განმანათლებელ მუშაობას.

მოხალისეთა არმიიდან, მშრომელ კლასების საყოველთაო სამხედრო ბეგარაზე დაფუძნებულ რეგულიარულ არმიაზე გადასვლით, პოლიტიკურ ორგანოებს მოხალისეთა შეკრების ფუნქცია ჩამოსცილდა, მაგრამ, ამის მაგიერ, მათ წინაშე მობილიზაციის გატარებასთან დაკავშირებული ახალი ამოცანები დადგა. (განსაკუთრებული პოლიტიკური კომპანიები, გაწვეულთა მიღება-გაგზავნაში მონაწილეობა, კომუნისტების აღრიცხვა და განაწილება, გაწვეულთა პოლიტიკური მომზადება და სხვა).

მაგრამ პოლიტორგანოების მთავარი ამოცანა იყო—უშუალო აგიტაცია იმ დროს აღმოცენებულ ფრონტებზე. ფრონტებზე სააგიტაციო-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლათ თითქმის ყველგან სტიქიურათ წარმოიშვა პოლიტგანყოფილებები. რესპუბლიკის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს 1918 წლის 5 დეკემბრის ბრძანებამ პოლიტგანყოფილებების არსებობა დააკანონა. მაგრამ მოქმედ არმიის პოლიტიკურ აპარატების სტრუქტურა ჯერ კიდევ საკმაოთ ჭრელი იყო.

არა ერთხელ პოლიტგანყოფილებები თავის თავზე იღებდენ სულ სხვა და სხვა გვარ ფუნქციებს, ვიდრე დასჯა-გასამართლების ფუნქციამდეც კი.

დაახლოვებით, ოქტომბრის დამლევისათვის სრ. რუსეთის სამხედრო კომისართა ბიურო საბოლოვოთ ჩამოყალიბდა და, ასეთივე, გეგმა შეწონილ მუშაობას შეუდგა.

პირველათ იყო აღძრული საკითხი წითელ არმიაში სკოლის გარეშე განათლების გავრცელების შესახებ. სრ. რუსეთის სამხედრო კომისართა ბიუროს სააგიტაციო განმანათლებელ განყოფილებამ დაამუშავა ინსტრუქცია წერა-კითხვის სკოლების ორგანიზაციისათვის და, აგრეთვე, ამ სკოლების პროგრამა.

სკოლები იყოფოდენ 1, 2 და 3 საფეხურის სკოლებათ. მაშინვე გამოიცა ინსტრუქცია წითელ არმიაში კლუბების ორგანიზაციის შესახებ. საგიტაციო-განმანათლებელი მუშაობა ნაწილებში, ევალებოდა ამ ნაწილების საერთო კრებებზე არჩეულ კულტურულ განმანათლებელ სექციებს.

სრულიათ რუსეთის სამხედრო კომისართა ბიურომ ჯარისკენ მიიზიდა კულტურული მუშაკები, რომლებშიაც არმია დიდს საჭიროებას განიცდიდა. სრ. რუს. ს. კ. საბჭო აწვდიდა ფრონტს ლიტერატურას და სასწავლო სახელმძღვანელოებს. საბჭოს გამომცემლობით მუშაობაც საკმაოთ კარგათ მიმდინარეობდა. გარდა გაზეთებისა „Красная Армия" და „Флот" ვრცელდებოდა ათი და ათასეული ცალი ბროშიურა და ფურცლებისა როგორც რუსულზე, აგრეთვე უცხო ენებზედაც (უკანასკნელები საჭირო იყო სამხედრო ტყვეებს შორის გასავრცელებლათ, ვინაიდან ისინი ჩვენი ნაწილების თვალსაჩინო კადრს შეადგენდენ), პეტროგრადში 1918 წლის ნოემბრიდან გამოდიოდა გაზეთი „კომუნა"—გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიანურ, სერბიულ და რუსულ ენებზე, ყოველ ნომრის 50 ათასი ცალის ტირაჟით. იმავე წელს ურალის ოლქმა 3 მილიონი სხვა და სხვა მოწოდება და 61 სხვა და სხვა სათაურებიანი წიგნი და ბროშურა გამოსცა.

1918 წლის დამლევისათვის არმიაში 444 წერა-კითხვის სკოლა, 1755 ბიბლიოთეკა და 383 კლუბი ირიცხებოდა. კლუბებში საფუძველი ჩაეყარა წითელ არმიელთა თვითშემოქმედი მოღვაწეობას. სრ. რუსეთის სამხედრო კომისართა საბჭოს რეგისტრაციაში გატარებული იყო 100 დრამატიული წრე. ფართეთ გავრცელდა არმიაში კინემატოგრაფი, ხშირათ იწყობოდა წარმოდგენები პროფესიონალ მსახიობთა მონაწილეობით და ზოგიერთ ადგილებში მსახიობთა მოძრავი დასებიც არსებობდა.

1918 წლის დამლევიდან სრ. რუს. სამხ. კომ. საბჭომ, როგორც იყო, მოაგვარა ბოლშევიკურ პარტიის წევრთა აღრიცხვისა და განაწილების საქმე. შემდგომ, არმიის ნაწილებში კომუნისტურ იაჩეიკების ორგანიზაცია დაიწყო. 1919 წელში არ მოიპოვებოდა არმიაში მსხვილი ნაწილი, რომელშიაც კომუნისტური იაჩეიკა არ ყოფილიყო: 1919 წლის თებერვლისათვის არმიაში ირიცხებოდა 1500 იაჩეიკა, ისიც აშკარათ არა სრულ ცნობების მიხედვით.

აღრმავებდა და აფართოებდა რა თავის მუშაობას არმიის ფარგლებში, პოლიტ. ორგანოებმა პოლიტიკური და განმანათლებელი მუშაობა მოქალაქეებზედაც გაავრცელა. ყველგან იმართება მიტინგები, ლექსები, სჯაბაასი, ლიტერატურა ვრცელდება შორეულსა და ბნელ კუთხეებში.

სამხედრო კომისართა საბჭოს ინიციატივით, განათლების სახალხო კომისარიატმა პოლიტ. ორგანოებთან ერთად 1919 წლის დასაწყისს 4500 სამკითხველო ქოხი მოაწყო, რომელთა ამოცანაში, თანახმათ „დებულებისა სამკითხველო ქოხების" შესახებ, სოფელში წითელ არმიის იდეების გავრცელება შედიოდა.

პოლიტიკური მუშაობა ფრონტების პერიოდში.

1919 წ.

შეიარაღებულ ძალთა ზრდით და სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის გაფართოვებით წითელ არმიაში პოლიტიკურ მუშაობის მნიშვნელობაც იზრდებოდა. არმიაში პოლიტიკურ მუშაობის საკითხი რუსეთის კომ. პარტიის მე-8 ყრილობის განსაკუთრებულ ყურადღების საგანი იყო. თანახმად ყრილობის 1919 წლის 18 აპრილის დადგენილებისა რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ გამოსცა ბრძანება სრ. რუს. სამხედრო კომისართა ბიუროს გაუქმებისა და უკანასკნელის ფუნქციების რევ. სამხედრო საბჭოს პოლიტიკურ განყოფილებაზე გადაცემის შესახებ. რესპუბლიკის რევ, სამხ. საბჭოს 26 მაისის ახალი ბრძანების ძალით პოლიტიკურ განყოფილების მაგიერ დაფუძნებული იყო პოლიტიკური სამმართველო ანუ, შემოკლებულ სახელწოდებით, პურ. ვინაიდან პოლიტიკურ სამმართველოს ამოცანები უმეტესად პოლიტიკურ ხასიათის იყო, სამმართველო სამხედრო უწყების საერთო სქემაში შედიოდა, მაგრამ, ამასთანავე, ექვემდებარება რუს. კომპარტიის ც. კ-ს, რომელიც წითელ არმიის უმაღლეს პოლიტ. ორგანოს მუშაობის საერთო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ანხორციელებდა.

1918 წლის დეკემბერში ფრონტებსა და არმიებში დაწესებულ რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოებთან აღმოცენებული პოლიტგანათლებები საერთო ხელმძღვანელობის მხრით პოლიტიკურ სამმართველოსთან იყვენ დაკავშირებული, მაგრამ, ამასთანავე, სათანადო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოების ქვემდებარეობა შეინარჩუნეს. არმიის ზურგშიაც მოეწყო მთლიანი და მწყობრი პოლიტ. ორგანოები: ოლქებში—პოლიტგანათლებები და სააგიტაციო-განმანათლებელი განყოფილებები—საგუბერნიო და სამაზრო კომისარიატებში. ყველა ეს აპარატები ეწყობიან განსაზღვრულ ორგანიზაციულ სტრუქტურით და სასტიკი ცენტრალიზაციის საფუძველზე, რომლის, სრულ განხორციელებამდე დიდძალმა დრომ განვლო.

მოკლე ხანში პოლიტიკური სამმართველო ვეებერთელა სახელმწიფო დაწესებულებათ იქცა, 600 თანამშრომლის შემადგენლობით. იზრდებოდა სამმართველოს ადგილობრივი ორგანოებიც— ფრონტზე და არმიის ზურგშიაც—და 1919 წლის დამლევისათვის მათი თანამშრომელთა რაოდენობამ 20,000 კაცს მიაღწია.

პოლიტიკური მუშაობა წითელ არმიაში თანდათან ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა, ცენტრალიზაციისა და გეგმაშეწონილობის ფორმაში ყალიბდებოდა.

1919 წლის დეკემბერში შესდგა წითელ არმიის პოლიტ. მუშაკთა 1-ლი ყრილობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ და განმანათლებელ მუშაობის განვითარებაგაუმჯობესობისთვის. სხვათა შორის, ამ ყრილობამ გამოიტანა დადგენილება ბატარეების, გუნდების, ესკადრო-

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

მეთამბაქოების კავშირი. მეთამბაქოების კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირში სწარმოებს ინტენსიური მუშაობა საქონლის (მანუფაქტურა) პარტიის მისაღებათ, რომელიც გადასცა მას იტალიის ფირმამ რ. კამხი ნაყიდ საქონლის მაგიერ. ეს პარტია არის ნაწილი იმ საქონლის ეკვივალენტისა, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ხსენებულ ფირმიდან კავშირის მიერ. ამ პარტიაში 500 ტიუკზე მეტი მანუფაქტურაა. ახლო მომავალში ელიან კონსტანტინოპოლიდან უკანასკნელ პარტიის მიღებას.

სასურსათო გადასახადის კამპანია. მთელი წინასწარი მუშაობა, სახელდობრ: ინსტრუქციის მიცემა, წიგნებით და ბლანკებით მომარაგება, მარცვლის დასაგროვებელი პუნქტების მოწყობა, გადასახადის გადამხდელთა სიების შედგენა და მაშასადამე სასურსათო გადასახადის სოფლებზე და თემებზე განაწილება სავსებით დასრულებულია ღუმისტინის და გაგრის მაზრებში, გუდაუთის და კოდორის მაზრებში კი დამთავრდება ახლო მომავალში. ღუმისტინის მაზრიდან შემოდის სასურსათო გადასახადის ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო მომარაგების საჭიროებისათვის. სამურზაყანოს მაზრაში წინასწარი მუშაობა დამთავრდება შედარებით უფრო გვიან იმის გამო, რომ სულ მოკლე ხნის განმავლობაში სასურსათო გადასახადის პასუხისმგებელ მუშაკის თანამდებობაზე გამოიცვალა 4 პიროვნება. სასურსათო გადასახადის კამპანია უკანასკნელ მოვლენას არ აძლევს დიდ მნიშვნელობას რადგან ის დაინტერესებულია სასურსათო გადასახადის არა დაჩქარებით შეკრებაში, არამედ მის სასარგებლო რეალიზაციაში. ის ცდილობს, რომ შეკრებილი პროდუქტი—სიმინდი, რომელიც ადრე ფუჭდება, არ რჩებოდეს მარცვლის დასაგროვებელ პუნქტებში, არამედ დაუყოვნებლივ მიდიოდეს დანიშნულებისამებრ. სასურსათო გადასახადის მუშაობის პასუხისმგებლობა ადგილებზე აწევს სასურსათო გადასახადის სამეულს, რომლის შემადგენლობაში შედიან: აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, სასურსათო განყოფილების გამგე და ერთი წევრი აღმასრულებელ კომიტეტის ამორჩევით.

პარტიული ცხოვრება

ქალ. ტფილისის და მისი მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე-4 კონფერენცია.

მეორე სხდომა.

კონფერენციის მეორე სხდომა ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა 21 თებერვალს საღამოს 6 საათზე. მოსმენილ იქნა ამხ. ავაკოვის მოხსენება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგების და საქართველოს სამეურნეო აღმშენებლობის უახლოეს ამოცანების შესახებ. ამ სხდომაზე მოხდა ტფილისის ახალ კომიტეტის არჩევნები. არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

წევრებათ: 1. კახიანი, 2. სუხიშვილი ლ. 3. ყურულოვი, 4. ღოლობერიძე ლ. 5. ივანოვ კავკასკი, 6. რუბენი, 7. გოლდბაუმი, 8. ქავთარაძე ლ. 9. ზაქრაძე, 10. ფანცულაია, 11. კაჩეტკოვი, 12. მასხულია, 13. იტრიევი, 14. ბოჭორიშვილი, 15. ვართ.-პეტიანი, 16. ალი-ტაგი-ზადე, 17. ბურჯანაძე, 18. მეიდენი, 19. პანკრატოვი, 20. შავერდოვა, 21. მინასიანი, 22. ჯანელიძე, 23. ადამიძე ტ., 24. დალნიაია ს., 25. ადამიან, 26. ბერეზინი, 27. ქლენტი თენგიზ, 28. მილოვი, 29 მარკაროვი.

კანდიდატებათ: 1. კონჩაკი, 2. ბანტიაროვი, 3. ჭელიძე, 4. პირალოვი, 5. აკოპოვი, 6. ნაზაროვი, 7. ხუბულური დ., 8. ზაკომოლდინი, 9 კაზაროვი, 10. ჯაფარიძე ა., , 11. ჯაფარიძე, 12. არუსტანოვი, 13. კრუგლიკოვი, 14. ეგიკოვი, 15. ივანოვი.

მოწამეთის „უხრწნელი" ნაშთების გახსნა

დღეს 18 თებერვალია. დღეს უნდა გაიხსნას დავით და კონსტანტინეს „უხრწნელი" ნეშთები.

მოწამეთამდე დანიშნულია კომისიისა და მაყურებელთა წასასვლელათ რამოდენიმე ვაგონი. ხალხი დილიდანვე თავს იყრის სადგურზე.

მატარებელი 12 საათზე გადის მოწამეთაში. თვით მოწამეთაშიაც ხვდება აურაცხელი ხალხია. ეს რამიდენიმე დღეა მილიცია სდარაჯობს „წმიდანებს", რომ არსად „გაიპარონ".

აი შედის საყდარში კომისია და დელეგატები. დიდი ხანი არ აგვიანდება. გამოაქვთ გარეთ, სადაც ყველას შეუძლია დაინახოს ის „უხრწნელი" გვამები, რომლითაც გარყვნილი სამღვდელოება საუკუნოების განმავლობაში ჩვენს მამა-პაპათ შეუბრალებლათ ატყუებდა და სცარცვავდენ ხალხს.

რას ვხედავთ „უხრწნელი" ნეშთის მაგივრათ. ცარიელი ძვლები, რომელსაც ხორცის ნატამალიც არ აქვს.

ცარიელი კუბო მოაქვთ და ვაგონზე სდებენ. ვაგონები ერთიან გაიტენა ხალხით. მატარებელი ძალიან ნელა მიდის, ეშინია, რომ რაიმე მარცხი არ მოხდეს. გზებზე ყოველ მხრივ აურაცხელი ხალხი ხვდება. უნდათ დაინახონ ეს „ხვთის რისხვა" ამბავი.

ქუთაისის სადგური ზღვა ხალხით არის გავსილი. სახლის თავებზეც კი ასულან, რომ კარგათ დაინახონ „გადმოსახლებული წმიდანები".

ძლივ-ძლივობით გამოაქვთ კუბო ამდენ ხალხში სადგურის უკან, სადაც სიტყვას ამბობს ამხ. ვალია ბახტაძე და „წმიდანების" ყველა ნაწილებს (რასაკვირველია ძვლებს) უჩვენებს ხალხს.

აღტაცებული ხალხი ტაშით აჯილდოებს ორატორის სიტყვას. შემდეგ მიაქვთ „წმიდანები" ქალაქის ქუჩებში ჩამოსატარებლათ.

ნეშთების გახსნას ესწრება წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან.

აქვ. შანიძე.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მეთაურში შეპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. სწერია „...მარტინოვზე შეიძლება ითქვას გადაუჭრელათ, რომ ის იყო დამსახურებული ფილოსოფოსი ამ პარტიის ტაქტიკურ-პოლიტიკური პროგრამის". უნდა იყოს: „... მარტინოვზე შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლათ, რომ ის იყო დამსაბუთებელი, „ფილოსოფოსი" ამ პარტიის ტაქტიკურ-პოლიტიკური პროგრამის".

განათლების კომისარიატში.

— **სასკოლო გადასახადი.** განათლების სახალხო კომისარიატი ამით აცნობებს ადგილობრივ და ყველა სამაზრო აღმასკომებს, რომ სასკოლო გადასახადისათვის ოქროს მანეთის კურსი ბონებით უნდა იანგარიშონ 510,000 მან. და იმის მიხედვით შეაგროვონ გაწერილი სასკოლო გადასახადი, ფული მიიღება ქართულ და ამიერ-კავკასიის ბონებით.

ქალაქის აღმასკომში

— **დახმარება.** ტფილისის საბჭოს სახელობის ოზურგეთის საბავშო სახლს დაენიშნოს 100 მან. საქონლის კურსით ყოველ თვიურათ მუდმივ დახმარების სახით.

— **უმუშევარ ქალთა თავშესაფარი.** პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევარ ქალთა თავშესაფარის შესახებ, დაევალოს საქმეთა მმართველს რა წესით და როგორ შეიძლება აღნიშნული სახლის მოწყობა ან სად უფრო შესაძლებელია მისი გახსნა.

შეფობის მიღება. კავკასიის განსაკუთრებულ ბრიგადის ყოფ. შემადგენლობის მოსამზადებელ კურსების შეფობის მიღების საკითხი, დროებით დარჩეს ღიათ, ხოლო გამოკვლეული იქნეს რაოდენობა იმ სამხედრო ნაწილების, რომლებიც ითვლება აღმასკომის შეფათ.

— **თებერვლის დღესასწაულისათვის.** პრეზიდიუმმა დაადგინა ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის, ახალ ბინაზე ბარგის გადასატანათ მიეცეს ავტომობილი და მომავალ დღესასწაულისათვის ქართველ სამხედრო კურსანტების საჩუქრების დარიგების შესახებ მიღებულ იქნეს ზომები.

— **ჩამორთმეული სახლები.** პრეზიდიუმის დადგენილებით, მუნიციპალიზაციის ძალით ჩამორთმეულ სახლებში დარჩენილ ავეჯეულობის ყოფილ მეპატრონეებზე გადაცემის შესახებ არჩეულ იქნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვარძიელი, მესხი, ქლენტი, აღნიშნულ საკითხის სათანადოდ გამორკვევა, მანამდე შეჩერებულ იქნეს ავეჯეულობის გადაცემა.

— **პასუხისმგებელ თანამშრომელთა გადაჯგუფება.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მცირე პრეზიდიუმის დადგენილება ზოგიერთ პასუხისმგებელ თანამშრომლების დანიშვნა-გადაჯგუფების შესახებ, შემდეგი დამატებით: 1) აბანოების გამგე ამხ. ასრიევი გადაირიცხოს კომუნალურ განყოფილების გამგის მოადგილეს თანამდებობაზე, ხოლო მისი მოვალეობის დროებით აღსრულება დაევალოს მის მოადგილეს. 2) ჯანმრთელობის განყ. გამგე განთავისუფლდეს ქვე-განყ. გამგეობიდან და დაევალოს განყოფილების საერთო ხელმძღვანელობა. 3) ყველა ქვე-განყოფილებებს დაენიშნოს თავიანთი გამგეები და ჯანმრთელობის განყ. მესამე თანაშემწეთ დაინიშნოს ექიმი მგელაძე.

— **თებერვლის დღესასწაულებისათვის.** წითელი ლაშქრის არსებობის 5 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის აღსანიშნავად დღესასწაულის მომწყობ ცენტ. კომისიის განკარგულებაში, პრეზიდიუმმა დაადგინა, გადადებული იქნეს 200 მილიონი. ამავე დღესასწაულების აღსანიშნავად დიდუბეში გაიხსნას უბინაო მუშათა ღამის გასათევი სახლი, რომლის გეგმის შემუშავება დაევალოს საქმეთა მმართველს და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს მახლობელ სხდომაზე პრეზიდიუმს. ამავე დღეს ნაძალადევში ძმათა სასაფლაოზე ჩაყაროს ძეგლი.

მიწად-მოქმედების კომისარიატში

— **ფოთის ხე-ტყის ქარხნები.** ფოთის ხე-ტყის მესაკუთრეთა წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე მიეცეს ხე-ტყე ხსენებულ ქარხნების ასამუშავებლად. კომისარიატმა გაითვალისწინა, რა ის მდგომარეობა, რომ ფოთის ხე-ტყის ქარხნების ამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით უმუშევრათ დარჩენილ მუშებისათვის—დაადგინა, მიეცეს ნება ფოთის ხე-ტყის ქარხნების მფლობელთ გაიტანონ ჩიბათის სატყეოდან 2,000 ძირი ხე არსებულ ფასების თანახმად.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამართველოში.

— **შტატის შემცირება.** რწმუნებულმა წინადადება მისცა სამართველოს ყველა განყოფილების გამგეებს, სასწრაფოდ შეიმუშავონ და თებერვლის 23-სთვის წარმოუდგინონ თავისი მოსაზრებანი ამ განყოფილებებში 10 პროცენტით შტატების შემცირების სესახებ თანახმად ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებისა.

— **საულუფო პურის შეფასება.** თებერვლის საულუფო პური სამართველომ შეაფასა 7,000 მან. გირვანქა იმ დაწესებულებათა და წარმოებათათვის, რომელნიც მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მტკიცე ტარიფზე ზედმეტს, თანახმად კოლექტიურ ხელშეკრულობისა.

რკინის გზაზე.

რკინის გზების გამგეობაში. რკინის გზების გამგეობის წევრთა შორის მოხდა მოვალეობათი განაწილება-დაკისრება შემდეგი სახით: გამგეობის თავმჯდომარეს ვ. პოზდეევს დაეკისრა საერთო ხელმძღვანელობა გამგეობის მუშაობის, მის მოადგილეს ა. ლევაშოვს საკითხების სისტემაში მოყვანა, გამგეობის წევრებს: ლ. ტერმიქაელიანს ტეხნიკურ-სამეურნეო საკითხების და გ. თუმანიშვილს—კომერციული ხასიათის საკითხების გამგებლობა. ნ. მელიქ-ასლანოვს და ა. ერქომაიშვილს მონაწილეობის მიღება საქმეთა გარჩევაში და გამგეობის მიერ აღძრულ ეკონომიურ-სამეურნეო-კომერციულ ხასიათის საკითხების მიხედვით მუშაობის წარმოება აზერბეიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების რაიონებში.

— **ბოროტმოქმედებისათვის.** 5 თებერვალს რევოლიუციონურ სამხედრო-სატრანსპორტო ტრიბუნალმა გაარჩია საქმე ბათუმის ბრიგადის მთავარ კონდუქტორის კონსტანტინე სილ.-ძის იბრალიძის, რომელსაც ბრალდებოდა მოვალეობის ასრულების დროს ნახმარი სამგზავრო ბილეთების მიყიდვა მგზავრებზე სად. სამტრედიაში. ტრიბუნალმა ბრალდებული დამნაშავეთ სცნო და მისი ოჯახური პირობების გათვალისწინებით მიუსაჯა წელიწად-ნახევრის ციხე.

— **შემოკლებული სიტყვების ხმარების აკრძალვა.** გ. ს. კ. ბრძანებით აკრძალულია შემოკლებული სიტყვების (ნიშნების) ხმარება გზათა სახალხო კომისარიატის დაწესებულებებთან და კერძო პირებთან საურთიერთო მიმოწერაში, რადგან შემოკლებული სიტყვები უმეტეს შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას და საქმის დაბრკოლებას.

— **სატარიფო თათბირი.** საკავშირო საბჭოსთან არსებული სატარიფო თათბირი გადაკეთებული იქნა სატარიფო თათბირად, რომელშიაც არჩეულ იქნენ გზების უფროსი მ. ჰ. თუმანიშვილი, გზების უფროსის მოადგილე ს. ა. ლედერი და ეკონომიური სამსახურის უფროსი მოვ. დროებითი აღმასრ.—გ. ლ. აბელიშვილი.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 23 თებერვალს „თავადი იგორი" მონ. ექსანიშვილი, სარაჯიშვილი, ისეცკი, საბინინი, შარაშიძე და სხვ.

— **ძმ. ადელჰაიმების გასტროლი.** ორშაბათს, 27 თებერვალს პატარა თეატრში შესდგება პირველი გასტროლი ძმ. ადელჰაიმების.

— **ახალი სომხური დრამატიული კოლექტივი.** ტფილისში შესდგა ახალი სომხური დრამატიული კოლექტივი, რომელიც უმთავრესად დასდგამს მხატვრულ-რევოლიუციონურ პიესებს. კოლექტივის წარმოდგენები დაიდგმება კამერულ თეატრში. მთავარ რეჟისორად მიწვეულია არანოვი.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—თავადი იგორი, რუსთველის თეატრი—თურქული წარმოდგენა, სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა, კინო-მინიონი—სიკვდილის აზრი, კინო-არფასტო—არენ ჯორჯიაშვილი, კინო-ოლეილ—„მოლჩი გრუსტ, მოლჩი" პოლონსკის, მაქსიმოვის, ხანლოვის და სხ. მონ.-წილეობით, კინო-პალას—კბილი კბილის წინ, კინო სარკიანი—სიკვდილის ბრჭყალები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის მე-4-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელნიც მდებარეობენ მე-4 რაიონში შემოიტანონ „წითელი ფლოტის" სასარგებლოდ შეგროვილი პროცენტული გადარიცხვა შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპექტი № 20. —საქართველოს კომპარტიის მე-4 რაიკომი ამხ. ალავერდოვთან

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი
არუსტანოვი.

პროფესიონალური

— [illegible] განცხადებები [illegible] განათლების [illegible] [illegible] ხადდენ ხუთშაბათს 22 თებერვალს, 5 საათზე განათლების მუშაკთა შენობაში (მუშათა სასახლე, მესამე ლი, ოთახი № 36), სადაც ხუთშაბ სწარმოებს ახალი წევრების მიღება.

განცხადებები

გულმოკლული მეუღლე ანნა ონისიმეს ასული, უდროვოთ დაო
ბული შვილი თორნიკე გიორგის ძე, დედა ელისაბედ ბიჭიას ას
მამა მახარბელ გიორგის ძე, ძმები მიხეილ და ტიტე მახარბელის ძე
სიხარულიძეები შვილებით, დები ელენა მახარბელის ასული გა
ნიასი და ლიზა მახარბელის ასული ზერაძისა, სიძე ვარლამ
საბის ძე გაბუნია, რძლები ელენა დავითის ასული და თამარა
მანის ასული სიხარულიძისანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ
ნაცნობთ უდროვოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას საყვარელ
დაუვიწყარ

გიორგი მახარბელის ძე სიხარულიძისა

დაკრძალვა ქ. სამტრედიაში. (164—1—

ღრმად დამწუხრებული ჰპირისუფალნი დედა მარინე მხეიძისა და
სერგო ბესარიონის ძე მხეიძე, ძმები აკაკი, კონდრატი ბესარიონ
მელიტონ მხეიძეები, რძლები იულია, თამარა და ნინო მხეიძ
სიძეები სევერიანე მესხი და პოლიკარპე ნიშნიანიძე, დები ვერა
ხისა და ელენა ნიშნიანიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ,
19 თებერვალს ქალაქ ქუთაისში უდროოდ გარდაიცვალა პირვე
საყვარელი შვილი და დანარჩენი ძვირფასი და (მე-5 კლასის მოწა

შუშანა (შუშიკო) მხეიძე

დაკრძალვა მოხდება ქუთაისის მაზრაში სოფ. ზოზოთში.
(171—1—1)

ბრძანება № 1

ტფილისის აღმასრულებ. კომიტეტ

22 თებერვალი 1923 წ.

წითელი არმიის დაარსების ხუთი წლის შესრულების და საქარ
გასაბჭოების ორი წლის შესრულების გამო მომავალ დღესასწაულ
სანიშნავად ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებს
ყველა სახლების და სასტუმროების მეპატრონეებს, მოიჯარადრეებს
რეთვე საბჭოთა სახალხო კომენდანტებს მორთონ სახლები 23, 24
თებერვლისათვის.

ამ მიზნისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს მობინადრეთა განკ
ბაში მყოფი ყველა ნოხები, ფერადი მატერიები, დროშები და იმ ს
სადაც კი ბაღებია, სახლები მორთული უნდა იქნეს გირლიანდებით
ვილებით.

საღამოს სახლები განათებულ უნდა იქნეს ლამპებით, სანა
და სხვ.

რაიონულ მილიციის უფროსებს წინადადება ეძლევათ თვალყუ
ენონ ამ ბრძანების სწორეუცდელათ შესრულებას და გაუწიონ
დახმარება სახლის მეპატრონეთ, მოიჯარადრეებს და კომენდანტებ
ნული ბრძანების სისრულეში მოყვანაში.

თავმჯდომარე **ხუხიშვილ**
საქმეთა მმართველი პრეზიდ. წევრი (ხელს აწერს).

ნების და რაზმების სამხედრო ხელმძღვანელთა ინსტიტუტუტის შემოღების შესახებ. ეს ინსტიტუტი ძალიან ცხოველმყოფელი აღმოჩნდა და ეხლაც ის წითელ არმიის პოლიტიკურ აღზრდისათვის უმაღლეს ღირსებიან დაწესებულებას წარმოადგენს.

პოლიტიკურ მუშაკთა დეკემბრის ყრილობისათვის პოლიტიკურმა სამმართველომ პირველათ დაამუშავა სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ასურათებენ არმიის მდგომარეობას და პოლიტიკურ ორგანოების მიღწევას.

მიღწეული იყო მნიშვნელოვანი წარმატებები არმიისათვის (და ფრონტის განაპირა ხაზის მცხოვრებთათვის) ლიტერატურის მიწოდების საქმეში. აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში გაგზავნილი იყო ლიტერატურა 6,519,000 ეგზემპლიარი, წონით 60,000 ფუთამდე;

ამავე დროს 1 დეკემბერს პოლიტიკური სამმართველოს საწყობებში დარჩა გაუნაწილებელი ლიტერატურა 7,280,000 ეგზემპლიარი. ამ რიცხვში შედიოდა 3,700 წიგნთ-საცავი, რომელთაგან თვითეულს ჰქონდა 140 სახელწოდება, რაც საერთოდ შეადგენს 518,000 ეგზემპლიარს.

ამავე პერიოდში მომქმედ არმიებში და ოლქებში ყოველ-დღიურად იგზავნებოდა წითელ-არმიელებს და ფრონტის განაპირა რაიონების მცხოვრებლებს შორის გასანაწილებლად 520,000 ეგზემპლიარი გაზეთი, რომელთა შორის პირველი ადგილი ეჭირა „ბედნოტა"-ს (383,000), მეორე „პრავდას" (70,000), შემდეგ „იზვესტია"-ს (40,000) და სხვა გაზეთებს. ამას გარდა არმიებში გამოდიოდა 25-დე ყოველდღიური გაზეთი, რომელთა ყოველდღიური ტირაჟი აღემატებოდა 250,000 ეგზემპლიარს.

ამ რიგად 1919 წელს წითელ არმიაში ყოველდღიურად ვრცელდებოდა 800 ათასი ეგზემპლიარი გაზეთი. გაზეთებს გარდა ფრონტების და არმიების და ზოგჯერ დივიზიების პოლიტიკური განყოფილებები დამოუკიდებლად უშვებდენ ფურცლებს, პლაკატებს, ბროშიურებს და წიგნებს.

სწრაფი ზრდის სიმპტომები მოსჩანდა აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის, განსაკუთრებით თეატრის და სკოლის სფეროში.

მაგალითად, 1919 წლის 1 მაისისათვის აღრიცხული იყო წერა-კითხვის 674 სკოლა, ხოლო იმავე წლის ოქტომბრისათვის მოიპოებოდა უკვე 3,800 სკოლები ასეთი სიმრავლე აიხსნებოდა წერა-კითხვის უცოდინართა დიდი რაოდენობით, რაც მაშინ შედგენდა წითელი არმიის მთელი შემადგენლობის 28—30 პროცენტს. თეატრების რაოდენობა 1 მაისს უდრიდა 649, ხოლო 1 ოქტომბერს ავიდა 1,415-დე, კინემატოგრაფების—133-დან 250-დე, წიგნთსაცავების—1,614-დან 2,492-დე. ამავე პერიოდში არმიის ნაწილებში მოწყობილი იყო400-დე სამკითხველო-ქოხები. წლის დასაწყისში კლუბში მოიპოებოდა—383, ხოლო დასასრულს —1,315. ამავე პერიოდში წარმოიშვა პოლიტიკური და პარტიული სკოლები და უკვე არსებობდა წითელ არმიელთა ოთხი უნივერსიტეტი. ცენტრში გამართული იყო კურსები კომისრების მოსამზადებლად. ამას გარდა არსებობდა მთელი რიგი საინსტრუქტორო კურსებისა. 1 ოქტომბერს მომქმედ არმიაში კომუნისტების რიცხვი აღწევდა 60,000-მდე, ამდენივე იყო ზურგშიაც. ამ რიცხვში არ შედიოდენ კომუნისტები, რომლებიც ჩაწერილი იყვნენ პარტიაში „პარტიული კვირეულის" დროს, რომელიც ჩატარდა წითელი არმიის ყველა ნაწილებში 1919 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში. პარტიული კვირეულის დროს კომუნისტურ პარტიაში ჩაეწერა მთელი წითელ არმიელთა მასის 20-დან 25 პროცენტი, რამაც შესძინა რევოლიუციონურ პარტიას ასეული ათასი ახალი წევრი.

პარტიული კვირეულის დამთავრების შემდეგ წითელი არმიის და ფლოტის ნაწილებში მოიპოვებოდა 2,962 კომუნისტური იაჩეიკა და 120,182 კომუნისტი და კანდიდატი. ხოლო ზურგში, 12 ოლქში იყო 3,975 კომიაჩეიკა და 157,858 კომუნისტი და კანდიდატი. სულ წითელ არმიაში და ფლოტზე 1919 წლის დასაწყისში მოიპოებოდა 7000 დე იაჩეიკა და 300,000-დე კომუნისტი და კანდიდატი. ერთი წლის განმავლობაში (1918 წლის დეკემბრიდან ვიდრე 1919 წლის დეკემბრამდე) არმიის პოლიტიკურ სამმართველოდან გამოვიდა 20 ათასამდე პოლიტიკური მუშაკი, რომელთაგან. ოქტომბერს მოსდის 5,400 კაცი, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ უმეტესად სომხეთის ფრონტზე. პოლიტიკურმა ორგანოებმა ძლიერ განავითარეს თავიანთი მუშაობა მოქალაქეებს შორის. მხოლოდ სამხედრო მუშაკების ძალებით არსდებოდა მტრებისაგან განთავისუფლებულ ადგილებში რევოლიუციონური კომიტეტები, ხოლო შემდეგში საბჭოთა ხელისუფლების ნორმალური ორგანოები. ამ მუშაობისათვის ფრონტების და არმიების პოლიტიკურ განყოფილებებში არსებობდენ საბჭოთა აღმშენებლობის განყოფილებები, ხოლო დივიზიების პოლიტიკურ განყოფილებში—გლეხთა სექციები. არმიების პოლიტიკურ ორგანოებს უხდებოდათ მომქმედ არმიების ზურგის ადმინისტრატიული ორგანიზაციის საკითხების მოგვარება (მაგალითად 1919 წლის მეორე ნახევარში, სამხრეთის ფრონტის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსთან არსებობდა „ყაზახთა განყოფილება", რომელიც განაგებდა ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებულ დონის ოლქის ადმინისტრატიულ მმართველობას). სამხედრო მუშაკებს უხდებოდათ აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციების ევაკუაციის საკითხების მოგვარებაც.

დიდი სააგიტაციო მუშაობა სწარმოებდა ზურგში ჯარების გადაჯგუფების და მოძრაობის ადგილებში. 1919 წლის დასასრულს არ მოიპოებოდა ისეთი საკვანძო სადგური, რომ იქ არ ყოფილიყო სააგიტაციო პუნქტი (აგიტ-პუნქტი).

აღმოსავლეთის ფრონტის ლიკვიდაციით, იუდენიჩის და დენიკინის განადგურებით 1920 წელს შესაძლებელი შეიქნა ცოტათი შესვენება და მთელ რიგ მომქმედ არმიების შრომის მდგომარეობაზე გადაყვანა. პოლიტიკურ ორგანოებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა მრავალ რიცხოვან წითელ არმიელთა კადრების აღზრდის სფეროში სისტემატიური მუშაობის წარმოებისათვის. ამ ფრიად მძიმე ამოცანას აფერხებდა კიდევ ის გარემოება, რომ წითელი არმიის რიგებში მოჰყვა თეთრი არმიების ყოფილ ჯარისკაცების მნიშვნელოვანი კონტინგენტი.

1920 წელი.

1920 წლიდან პოლიტიკური მუშაობა წითელ არმიაში ფართოდ განვითარდა და ტარდებოდა გამოცოცხლებული ტემპით.

პირველ ყოვლისა აქტუალურად დაისვა წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის საკითხი, რომელსაც ექცეოდა უმთავრესი ყურადღება. ამ მხრივ განირჩეოდა ყუბანის მე-11 არმია, რომელმაც 1920 წლის დასასრულს სავსებით ლიკვიდაცია უყო წერა-კითხვის უცოდინარობას და ომი გამოუცხადა მცირე წერა-კითხვის ცოდნას. 1920 წელს საბოლოოდ გადაწყდა სასკოლო მეცადინეობის მოწყობის საკითხი წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელების ცალკე კომანდებში გადარიცხვის და მათი მორიგეობითი სამსახურიდან თითქმის სრული განთავისუფლების გზით. მცირე წერა-კითხვის მცოდნეების ცოდნის შესავსებათ არსდებოდა უფრო მაღალი ტიპის სკოლები. ასევე არსდებოდა პოლიტიკური ანბანის სავანგებო სკოლები (პოლკებთან, ბრიგადებთან, დივიზიებთან). ცნობების მიხედვით 1920 წლის თებერვლიდან მარტამდე მომქმედ არმიებში და ფრონტზე (ზურგის გარდა) მოიპოებოდა: წერა-კითხვის სკოლა—1,556, პოლიტიკური ანბანის სკოლა—178, სკოლების მოწაფეები—4.488. 1920 წლის შუა და ბოლო რიცხვებში ეს ციფრი ცხადია გაიზარდა ორ-სამჯერ, თუ მეტჯერ არა. კიდევ უფრო მეტი წარმატებით ვითარდებოდა არმიებში კლუბების მოწყობის საქმე. მათი რიცხვი აღწევდა 2,430 მდე მაგრამ საქმე არა სიმრავლეშია, არამედ ხარისხში. ეს უკვე იყო სხვაგვარი—ახალი კლუბები, რომელთაც თითქმის არაფერი საერთო არ ჰქონდათ 1918—1919 წლების კლუბებთან. თვითეულ კლუბებთან ეწყობა წრეები და სექციები: სამეცნიერო, პოლიტიკური ანბანის, სპორტიული, სამხედრო, სასოფლო-მეურნეობის, გრამატიული, სიმღერის და სხვა. კლუბებში მოსჩანს წითელ არმიელთა მასების თვითმოქმედება და შემოქმედება. 1920 წლის ივლისისთვის 12 ოლქში მოიპოებოდა სიმღერის და მუსიკის 767 წრე, ფრონტებზე—510 მუსიკალური და—401 სიმღერის. წარმოდგენების, მიტინგების, ლექციების დისპუტების კონცერტების და სხვ. მოწყობას ჰქონდა მასიური ხასიათი. მარტო ოლქებში მოიპოებოდა 624 თეატრი.

1920 წელი ძლიერ ხელსაყრელი იყო აგრეთვე წიგნთსაცავების საქმის განვითარებისათვისაც, წიგნთსაცავების მუშაკთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის შემდეგ წითელ არმიაში დამყარდა წიგნთსაცავების გეგმაშეწონილი ქსელი ათეული სისტემის გამოყენების გზით, საძირკველი ჩაეყარა წიგნთ-საცავების აქტიობას. არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ მხოლოდ 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე დაგზავნა ნაწილებში 15,000 წიგნთ-საცავი.

ინტენსიურად ვითარდებოდა აგრეთვე გამომცემლობის და ლიტერატურის გავრცელების საქმე. არმიის პოლიტიკური სამმართველოს მიერ გამოშვებულია რამოდენიმე მილიონი ფურცელი და მოწოდება; 1919 წლის 1 ივნისიდან 1920 წლის 1 ივლისამდე—9,500,000 ეგზემპლიარამდე. ამავე დროს განმავლობაში პერიოდული გამოცემანი (ჟურნალები: „კრასნოარმეეც" „პოლიტრაბოტნიკი") გამოშვებულია 1,700,000-მდე, პლაკატები—4,250,000 ეგზემპ., ღია წერილები 1.000.000 ეგზემპ., ხოლო სულ 19.000.000 ეგზემპლიარამდე. დიდი საგამომცემლო მუშაობა სწარმოებდა აგრეთვე ადგილებზე. 1920 წლის თვითეული ფრონტი, არმია და ზოგჯერ ოლქები გაზეთების, გარდა სცემდა ჟურნალებსაც; და აღსანიშნავია, რომ პირველად გამოვიდა სამხედრო-სამეცნიერო ჟურნალები (დასავლეთის ფრონტი, უკრაინა თურქესტანი).

წინანდებურად არმიის პოლიტიკური სამმართველო გზავნიდა არმიის და ფლოტის ნაწილებში დიდი რაოდენობით ცენტრალური გაზეთებს. ადგილობრივ დამოუკიდებელ გაზეთების გამომცემლობათა ყოველ-დღიური ტირაჟი გაიზარდა—506,000 ეგზემპლიარამდე.

19 წლის და 20 წლის პირველ ნახევარის განმავლობაში რესპუბლიკის პოლიტიკურ სამმართველოში გატარებულ და არმიაში გაგზავნილ პოლიტიკურ მუშაკების რიცხვი შეადგენდა 30,000 კაცი, რომელთაგან მაისში გატარებულია დაახლოვებით 3,700 კაცი, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ უმთავრესად დასავლეთის ფრონტზე.

კომუნისტების რიცხვი წითელ არმიაში და ფლოტზე თანდათან მატულობდა არა მარტო გარედან შემოსულ კომუნისტების, არამედ აგრეთვე მუშების და მშრომელ გლეხობის წრიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი წევრების შემოსვლის გზით.

არმიის ნაწილებში კომუნისტების პროცენტი მთელ პირად შემადგენლობასთან შეფარდებით მერყეობს 6 პროც. და 12—15-მდე, თუმცაღა, როგორც გამონაკლისი, მოიპოებოდენ ნაწილები, სადაც კომუნისტები შეადგენდენ მთელი პირადი შემადგენლობის 50 პროცენტს. 1920 წელს წითელი არმიის პოლიტიკურმა მუშაკებმა დაიპყრეს წითელ არმიელთა მასებზე ორგანიზაციული ზეგავლენის ბერკეტი, აზიარებდენ რა მათ პოლიტიკურ ცხოვრებას, მომენტს, აქცევდენ რა მთელს ყურადღებას გარკვეულ საკითხს, აკავშირებდენ რა მასებს ერთიან მისწრაფებით, ერთიანი მიზნით. რაც ყველაზე უფრო გამოაშკარავდა წითელ არმიელების ვრანგელზე გადამწყვეტ თავდასხმის მზადების დროს.

მშვიდობიანი პერიოდის მუშაობა.

1921 წელი.

1921 წელს წითელი არმიის რეორგანიზაციის გამო, პოლიტიკურმა აპარატებმა განიცადეს მნიშვნელოვანი გად-ხალისება. ბოლო მოეღო ყოველგვარ დაქსაქსულობას პოლიტიკური აპარატების სტრუქტურის სფეროში. შემცირებულ და გადახალისებულ პოლიტიკურ აპარატებს მიეცა მოქნილი და ელასტიური სახე, წარმოადგენდენ რა მწყობრ სისტემას ცენტრიდან წითელი არმიის თავის წვრილ ერთეულამდე. ასევე უნდა აღინიშნოს, როგორც განსაზღვრული მიღწევა, ყველა შეიარაღებულ ძალებს შორის პოლიტიკური მუშაობის გაერთიანება (ფლოტი, ჯარები, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, უმაღლესი სასწავლებელი, მთავარ სანიტარულ სამმართველოს ორგანოები და სხვ.) და სწორი ურთიერთობის დაწესება პარტიულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ყველა საკითხები არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ მოაგვარა კანონმდებლობითი წესით და გამოსცა დებულებების და ინსტრუქციების მთელი რიგი.

1921 წელს პოლიტიკურ ორგანოებს წილად ხვდა დიდი მუშაობა დემობილიზაციასთან დაკავშირებით. საჭირო იყო მიმავალთათვის დემობილიზაციის მნიშვნელობის განმარტება, სოფლებში მუშაობისწესის გარკვევა; დარჩენილებისათვის შთანერგვა არმიაში სამსახურის აუცილებლობის, გაცხოველებულ სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობის საჭიროების. დემობილიზაციით გაშვებულების გამგზავრების დროს ყოველგან იმართებოდა საზეიმო გაცილება, პოლიტიკურ მუშაკებს შორის გამოყოფილი იყვნენ სპეციალური გამცილებლები, მილიონ ეგზემპლიარებით ვრცელდებოდა ლიტერატურა, თვითეული ოლქი, ფრონტი, არმია უშვებდა სპეციალურ ფურცლებს — „პამიატკი ოტპუსკნიკუ".

მაგრამ 1921 წლის უმთავრეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს პოლიტიკური აღზრდის საქმის გაღრმავება და სისტემატიზაცია. გასული პერიოდის გამოცდილების მიხედვით გარკვეული იყო ამოცანები, პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები და ჩაეყო რა საძირკველი გეგმაშეწონილ პოლიტიკურ აღზრდას. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული პოლიტიკური მუშაკების ახალი კადრის მომზადების საქმეს, რისთვისაც ეწყობოდა სამხედრო-პოლიტიკური კურსების ქსელი.

ამას გარდა, პოლიტიკური ორგანოები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ წითელი შეფობის განვითარებაში—სამხედრო ნაწილების საბჭოებისადმი, პროფკავშირებისადმი და სამეურნეო ორგანოებისადმი მიწერა—რასაც დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა და რამაც ხელი შეუწყო წითელი არმიის მშრომელ მასებთან კავშირის განმტკიცებას.

1922 წელი.

1222 წელს გატარებული იყო მრავალი დამკრელი კამპანიები, რომელთაგან უმთავრესს წარმოადგენდენ: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, დემობილიზაცია, სამხედრო სწავლების კურსი, დამშეულთათვის დახმარება. წარმატებით ვითარდებოდა მეთოდიური მუშაობა სკოლის, კლუბის და კურსის საქმეში. პოლიტიკური ანბანის საათი („პოლიტჩას") მწყობრ ნაწილებში ღებულობდა სისტემატიურ და მეთოდიური პოლიტიკური მეცადინეობის ფორმას განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

ასეთი მუშაობა დაიწყო აგრეთვე საკომანდო შემადგენლობაში.

ამ პერიოდში მომხდარმა ყრილობებმა სამხედრო დელეგატების, რუსეთის კომპარტიის მე-11-ე, წითელი არმიის და ფლოტის პოლიტიკურ სამმართველოების და საგიტაციო-საპროპაგანდო თათბირმა განმარტეს პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის ამოცანები, შეიმუშავეს წითელ-არმიელის—სამხედრო მეზღვაურის პოლიტიკური აღზრდის მთლიანი სისტემა, საერთო ნორმების და პროგრამის ნიადაგზე ცენტრის საერთო ხელმძღვანელობით.

ამ რიგად, წითელ არმიაში და ფლოტზე მთელი სამხედრო და პოლიტიკური მუშაობა ღებულობს მწყობრი ერთიანობის ხასიათს, უზრუნველყოფს რა მაღალ—კვალიფიციურ, პოლიტიკურად განვითარებულ და შეგნებულ მხედარ—მოქალაქის შექმნას.

უკვე წლის შუა რიცხვებიდან წერა-კითხვის უცოდინარობის პროცენტი 14—15-დან ეცემა 1-დე, ხოლო წლის ბოლოს წერა-კითხვის უცოდინარობა სავსებით აღმოფხვრილ იქნა.

1922 წ. 1 იანვრიდან 1 მაისამდე წერა-კითხვის სკოლა დაამთავრა 52,444 წითელ-არმიელმა.

თავის მეხუთე წლის თავისათვის წითელ არმიის (1922 წ. 1 ივლისის ცნობების მიხედვით) მოეპოება:

რ. კ. პ. იაჩეიკები.—4,529. კომუნისტები და კანდიდატებით.—77,732. 1 საფეხურის წითელ-არმიელთა სკოლები.—1,026. წერა-კითხვის მე-2-ე საფეხურის სკოლები.—241. წითელ-არმიელთა კლუბები.—1,083. წრეები მათთან.—4,523. წითელ-არმიელთა წიგნთსაცავები.—2,901. მათში წიგნები სულ.—2,104,074 ეგზ.

ეს ციფრები ძლიერ მნიშვნელოვანია, ისინი მოწმობენ **წითელი არმიის დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევებს.**

აქედან არასოდეს ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომელსაც უშვებენ ზოგიერთი გატაცებული პოლიტიკური მუშაკები, ფიქრობენ რა, რომ შეიძლება დამშვიდებული ვიყოთ, რომ არავითარ სხვა ქვეყნების არმიებში პოლიტიკურ მუშაობას ადგილი არ აქვს. ასეთი შეხედულება არ არის სწორი და ამიტომ მავნებელია. უდავოა, რომ არც ერთი ქვეყნის არმიაში ჩვენი საბჭოთა ტიპის და შინაარსის პოლიტიკური მუშაობა არ ხდება, მაგრამ უდავოა ისიც, რომ კაპიტალისტური ქვეყნების თვითეულ არმიაში სწარმოებს პროპაგანდა და საკმაოდ ენერგიულიც. საჭიროა მხოლოდ მოვიგონოთ იმპერიალისტური ომი, როდესაც ბურჟუაზიამ გამოიყენა ხელოვნების ყველა მიღწევანი, მთელი ძლიერება კაპიტალისტური ტეხნიკის, კლასობრივი თვით შეგნების დაბნელების და შოვინიზმის გაღვივების მიზნით. ეჭვი არ არის, რომ ბურჟუაზიულ არმიებში პროპაგანდის აპარატი დაყენებულია უფრო ფართოდ და მრავალმხრივად.

მაშ რაში გამოიხატება ჩვენი პროპაგანდის ძალები? ამ საკითხზე მოხერხებულად უპასუხებს ამხ. ტროცკი: „კომუნისტურ პროგრამაში. რევოლიუციონურ იდეიაში. როდესაც ჩვენი მტრები ლაპარაკობენ ჩვენი პროპაგანდის სასწაულებრივ ძლიერებაზე, ეს უნდა მიაწეროთ არა ჯადოში პროპაგანდის ორგანიზაციას და ტეხნიკას, არამედ ჩვენი რევოლიუციონური პროგრამის შინაგან ძალას, რომელშიაც გამოსჭვივის მშრომელი მასების ნამდვილი ინტერესები და მიტომაც იტაცებს მათ. ჩვენ არ აღმოგვიჩენია პოლიტიკა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია აგიტაცია და პროპაგანდა. მტრები ამ მხრივ მატერიალურად და ორგანიზაციურად უფრო ძლიერები არიან ჩვენზე, როგორც ცარიზმი გაცილებით
იყო ჩვენ პარტ
იჯდა იატაკ ქვეშ და მ
ფურცლებით და პროკლამ
მაგრამ სწორედ იმაშია
რომ მთელი თავისი აპარა
მთელი თავისი ტეხნიკით
ჟუაზია ვერ ახერხებს
შენარჩუნებას. ხოლო ჩ
ვიპყრობთ და დავიპყრობთ
მსოფლიოში" (ამხ. ტროცკ
დან, რომელიც მან წარმ
კ. პ. მე-11-ე ყრილობის
დელეგატების თათბირზე).

ჩვენი სიძლიერე მდგომარ
ში, რომ პოლიტიკური
ვეებერთელა არმია კომუნ
ჩეიკებთან ერთად, ამხ.
მხატვრული გამოთქმით,
წითელი არმიის სულს
1919 წელს თეთრ-გვარ
ოფიცერმა კოტომინმა,
გამოიქცა ჩვენ მხარეზე,
შტაბისადმი მოხსენებაში
არმიის გამარჯვებანი მიაწე
კომისრების და პოლიტიკ
უების „ფანატიზმს". და ის
იყო.

პარტიული მუშაობის გა
ვერ შევძლებდით ძლევამ
თელი არმიის შექმნას.
მუნისტური ორგანიზაციის
ჩვენი არმია ვერ გაიმარჯვ

„ჩვენ, ამბობდა ტროცკ
რუსეთის საბჭოების მე-8-ე
ბაზე, როდესაც დაინტე
ყავით იაპონიაში მყოფ
რაებით, რომლებიც თავ
ტივის სასარგებლოდ სიკ
ნაწეც არ იხევენ უკან.
გითხრათ, რომ ჩვენი
მოწინავე მებრძოლ
სახით, ჩვენ შევქმენით
ორდენი — სამურაევების,
თუმცა არ იცავს კასტ
ლეგიებს, მაგრამ თავს სწ
თა კლასს".

კომუნისტურმა პარტია
ლოზუნგი ყაზარმის სკოლ
ქმნის შესახებ. წითელი-არ
წლის თავზე მიღებულია
მუშაობის შედეგები უფ
ლევს დაბეჯითებით და
ლიაროთ, რომ ჩვენ შე
ზარმის სამხედრო-პოლიტ
ლად გარდაქმნის გზაზე
მართულებით, მიუხედავ
გალარიბებისა, მეცნიერ
ნიკური ძალების სიმცირ
წილით დიდ შედეგებს.

მეორე ხუთი წლის
რაების" კომუნისტურ
გადაიქცევიან არა მარტო
და კომუნისტი მებრძოლ
მთელი მუშურ-გლეხურ
არმია, რომელიც დღესაც
გენს მახვილს მსოფლ
კლასის ხელში და არ
მსოფლიოს დაჩაგრულთ

ი.

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა რუსთაველის პ. № 4